ანგარიშგება-არჩევნები

პირველადს პარტორგანიზაციებში

1 სექტემბერს ჩვენი რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში იწყება ანგარიშგება-არჩევნები.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებს დიდი მნიშვნელობა აქვს პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. მათ უნდა ცხადყონ და შემდგომ აამაღლონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების — ჩვენი პარტიის საფუძვლის — სულ უფრო მზარდი როლი კომუნისტურ მშენებლობაში.

სკკპ ერთ-ერთი უძველესი და მოწინავე რაზმის — საქართველოს კომპარტიის პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXII ყრილობის დიად წინასწარდასახულობებს, განამტკიცებენ თავიანთ კავშირს მასებთან, სრულყოფენ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. ახლა ისინი მეტ წილად ოპერატიულად და კონკრეტულად წყვეტენ წარმოების, მშრომელთა კულტურისა და ცხოვრების საკითხებს. ცოცხალი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სულ უფრო მეტად დგება პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის ცენტრში.

მაგრამ ამასთან ერთად არცთუ იშვიათად გვხვდება ისეთი ფაქტებიც, როცა საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების პარტიული ორგანიზაციები სუსტად წყვეტენ წარმოების აქტუალურ საკითხებს. მთავარობილსმძენის მეოთხე სამშენებლო სამმართველოში ზოგიერთი კარგი მაჩვენებლის მიღმა სერიოზული ნაკლოვანებები იმალება. მიმდინარე წლის ექვს თვეში აქ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება გაადიდეს და დაუშვეს სამუშაო ხელფასის ფონდის გადახარჯვა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი წლის წინათ შემდგარ საარჩევნო კრებაზე მშენებელმა კომუნისტებმა კარგი განაწესი მისცეს პარტორგანიზაციას, პარტბიუროს (მდივანი შ. ტალახაძე), ამ ხნის მანძილზე ვერ შეძლო, ანდა უკეთ რომ ვთქვათ, საჭიროდ არ ჩათვალა მოემზადებინა და პარტიული კრების განსახილველად გაეტანა მშენებლობის თვითღირებულების შემცირების საკითხი. აქ გაკვრით, ვალის მოხდის მიზნით განახილავენ წარმოების სხვა საარსებო საკითხებსაც; სუსტია ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა.

საჭიროა სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციების კომუნისტებმა თავიანთ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ყურადღება გაამახვილონ რეზერვებსა და გადაუჭრელ საკითხებზე, დღის სინათლეზე გამოიტანონ ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლის მათ აიღონ ახალ-ახალი ზღუდეები.

პასუხსაგები ამოცანები დგას ახლა სასოფლო პარტიული ორგანიზაციების წინაშე. და ეს ამოცანები განსაკუთრებით მთელი თავისი სიდიადით დადგა მათს წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შემდეგ, რომლის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მოხდა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის მართვის გარდაქმნა. სასოფლო პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან გამოვიდნენ მიწისა და ტექნიკის უკეთ გამოყენების, წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის, რეზერვებისა და შესაძლებლობათა გამოყენებისათვის აქტიურ მებრძოლებად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვაწარმოოთ რაც შეიძლება მეტი პროდუქტები ნაკლები დანახარჯებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საოლქო კომიტეტების პარტორგებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების მუშაობაში, გამოიყენონ ამ საქმეში ინსტრუქტორები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აქტივისტები.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ წლებში შესამჩნევია იდეოლოგიური ცხოვრების გამოცოცხლება. იგი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს. მაგრამ დასამალავი როდია ის გარემოება, რომ ამ მხრივ ნაკლოვანებებიც გვაქვს. ამას მოწმობს კერძოდ ზოგიერთი მახინჯი მოვლენა, რაც აქაიქ ჯერ კიდევ გვხვდება ადამიანთა ცხოვრებასა და ურთიერთობაში.

ამიტომ იდეოლოგიური მუშაობის საკითხები, მისი კავშირის განმტკიცება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საკითხები კომუნისტთა საანგარიშო-საარჩევნო კრებების ფართო და საქმიანი განხილვის საგანი უნდა იყოს.

ჩვენში უველაფერი ადამიანის კეთილდღეობას ემსახურება და მისთვის კეთდება. ამიტომ პარტიული ორგანიზაციების, საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე თავიანი გამოხატულება უნდა ჰპოვონ ისეთმა საკითხებმა, როგორც არის საცხოვრებელი ბინების მშენებლობა და განაწილება, საზოგადოებრივი კვება, სიზუსტე და ოპერატულობა სახელმწიფო აპარატის მუშაობაში, მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი გულისხმიერი, უყრადღებიანი დამოკიდებულება.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს შინაპარტიული მუშაობის საკითხებმა, რადგან იგი ბევრგან ვერ უპასუხებს სკკპ XXII ყრილობის მიერ დასმულ ამოცანებს. ზოგან არ იცავენ კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპს, იშვიათად იწვევენ პარტბიუროს სხდომებს, ხშირად საკითხებს ერთპიროვნულად წყვეტს მდივანი.

ზოგიერთი პარტორგანიზაცია ნაკლებად ზრუნავს, რომ კომუნისტები აღზარდოს მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. უველგან სათანადო ბრძოლა არ წარმოებს ჩვენი ცხოვრების ისეთი უცხო მოვლენების წინააღმდეგ, როგორიც არის ლოთობა, ხულიგნობა, მექრთამეობა, სოციალისტური ქონების დატაცება და წარსულის სხვა გადმონაშთები.

დავეხმაროთ პარტიულ ორგანიზაციებს ჩაატარონ კრებები მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, შინაპარტიული დემოკრატიის ზუსტად დაცვით, ნაკლოვანებების საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით — ასეთია საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მოვალეობა.

შარშან ზოგიერთ ორგანიზაციაში იყო შინაპარტიული დემოკრატიისა და საწესდებო მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები. მაგალითად, ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის საკოლმეურნეო პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს კანდიდატებმა. ასეთი შემთხვევები არამც და არამც არ უნდა გამეორდეს.

კომუნისტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნებს, რადგან იმაზე, თუ ვის აირჩევენ, შემდგომში ბევრად იქნება დამოკიდებული პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. პარტიული ორგანოებში უნდა ავირჩიოთ უველაზე ღირსეულნი — საუკეთესო მუშები, კოლმეურნეები და სპეციალისტები. უშუალოდ წარმოებებიდან, რომლებმაც დიამსახურეს მაღალი ნდობა, უნარი შესწევთ წარმატებით გაუძღვნენ სკკმეს, სათანადოდ წარმართონ კომუნისტთა ძალები და აღზარდონ ისინი კონკრეტულ საქმეებზე.

პარტიული ორგანოების არჩევნების დროს დაცულ უნდა იქნას მათი შემადგენლობის სისტემატური განახლებისა და ხელმძღვანელობის მონაცვლეობის პრინციპი, რაც სკკპ წესდებით არის გათვალისწინებული.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები კიდევ უფრო განამტკიცებენ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობას, ხელს შეუწყობენ მათი როლის ამაღლებას კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

აი რატომ არის საჭირო მოვაწყოთ ეს კრებები ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე.

იწყება რთველი, მზად ხართ, მევენახეებო?!

მევენახეთა ღირსების საქმე.

მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი, წამყვანი დარგია. იგი მთელი რიგი რაიონებია კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების შემოსავლის თავარი წყაროა, ამიტომ უყვარს ქართველ გლეხს ვაზი, მზრუნველობით უვლის და თავს დასტრიალებს მას.

შვიდწლედის მეოთხე წელს საქართველოს მევენახეთა წინაშე მეტად სერიოზული ამოცანაა დასახული. მათ დასამშობლოს უნდა მისცენ 190 ათასი ტონა ყურძენი.

ყურძენი უკვე სიმწიფეში შედის. რთველი კარს მოგვადგა. კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ მოსავალი ის არის, რაც მარაზშია. ამიტომ საჭიროა ყოველმხრივ მოვემზადოთ რთველისათვის.

რთველი სიხარულია

ტიბაანური

საძვეყნოდ გაითქვა სახელი ქართულმა ღვინომ „ტიბაანმა“.

ეს ჯვახარეს და სიმხნევეს გვმატებს შრომაში, ვინაიდან ღვინო „ტიბაანს“ ძირითადად ჩვენი კოლმეურნე მევენახეების მიერ მოყვანილი ყურძნიდან ამზადებენ. ტიბაანური ღვინო რომ უფრო ბევრი იყოს, ჩვენ თავდადებით ვშრომობთ. 140 ჰექტარ სრულმოსავლიან ვენახში მევენახეობის ხუთივე ბრიგადის კოლმეურნეები წელს ძალღონის დაუზოგავად შრომობდნენ და გარჯაც დაუფასდათ.

აღრე გაზაფხულზე ჩვენმა მევენახეებმა ვალდებულება იკისრეს ნაცვლად 470 ტონისა 600 ტონა ყურძენი მიეყიდათ სახელმწიფოსათვის. მაგრამ ახლა, როცა ყურძენი სიმწიფეში მევიდა, თვალნათლად ჩანს უხვი მოსავალი. 700 ტონა ყურძენი საშშობლოს! — ასე ამბობენ ახლა ტიბაანელები.

რთველისათვის მზადება დავამთავრეთ. საკმაო რაოდენობით მოვიმარაგეთ გოდრები, კალათები, შევაკეთეთ გზები. ახლა ყოველ ორ დღეში ვამოწმებთ ყურძნის შაქრიანობას. ჩვენი ვარაუდით 20 სექტემბერს დავიწყებთ რთველს. მევენახეები ამ დღეს მოუთმენლად ელიან.

ე. ბეჟანიშვილი,
სილნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის საცდელ - საჩვენებელი კოლმეურნეობის აგრონომი.

ჩვენი ღოვლათის ღყარღ

საუბარი სილნაღის ტერიტორიული საწარმოო საგმართველოს უფროს

მ. ბრეგვაძესთან.

ჩვენთან მევენახეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია. საწარმოო სამმართველოში ვენახებს 3.982 ჰექტარი უჭირავს. აქედან 2.220 ჰექტარი სრულმოსავლიანია.

მევენახეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წელს მოვლა-პატრონობა არ მოაკლეს ზვრებს, აგროვადებში ჩაატარეს ნიადაგის დამუშავება, გასხვლა, მწვანე ოპერაციები და წამლობა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ალაზნის არხის მარჯვენა მხარეს გაშენებული ვენახები წელს გვალვამ ერთგვარად შეაწუხა და, თქმა არ უნდა, მოსავლიანობა შემცირდება. სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ აქაც ნახა გამოსავალი. ალაზნის არხზე მოაწყეს წყალსატუმბავი დანადგარი და გვალვას შეებრძოლნენ. ვენახებს პაპანაქება სიცხემ ვერაფერი დააკლო, და ახლა კარგ მოსავალს მოელიან.

ვენახებს სანიმუშოდ უვლიდნენ არბოშიკელი, ბოდბისხეველი, ანაგელი, ვაქირელი მევენახეები. სულ მალე დაიწყება რთველი და მაშინ გამოჩნდება, ვინ როგორ იმარჯვა.

ახლა ჩვენთან რთვლისათვის მზადებაა გაჩაღებული. ღვინის ქარხნებში წესრიგში მოჰყავთ ყურძნის გადასამუშავებელი მანქანები, ხის კასრები, რეცხავენ ქვევრებს და სხვ. სამტრესტის სილნაღის ქარხანათა სამმართველოს ხუთი ქარხანა წელს დიდძალ ყურძენს მიიღებს და გადაამუშავებს. ქარხნებში 700.000 დეკალიტრის ტევადობის ტარა-ჭურჭელი სრულ მზადყოფნაშია. დამატებით მიიღებენ 40.000 დეკალიტრი ტევადობის ხის კასრებს. ღვინის ქარხნებს შეფერხება არ ექნებათ ყურძნის მიღება-გადამუშავების საქმეში.

ანაგა ძირითადად მევენახეობით განთქმული სოფელია. აქ დამატებით გაიხსნება ყურძნის მიმღები განყოფილება. წესრიგშია მოყვანილი ბოდბე-მაღაროს ღვინის ქარხნის მარნები და დანადგარები, ეზო. ვაქირის ღვინის ქარხანამ საკუთარი წარმოებიდან 70 ქვევრი მიიღო.

როგორც აღვნიშნე, ჩვენი საწარმოო სამმართველოს ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მომზადებული ხვდება რთველს. წელს გვინდა 14.460 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მივყიდოთ 20.000 ტონა ყურძენი. საწარმოო სამმართველოს მშრომელებს გადაწყვეტილი აქვთ რთველი შემჭიდროებულ ვადაში დაამთავრონ და ვალდებულება პირნათლად გაანაღდონ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 199 (12407)

ხუთშაბათი, 23 აგვისტო, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

კოოპერატორების VI ყრილობაზე

მოსკოვი, 21 აგვისტო. (საკდესი). ა. ბ. კლიმოვის გამოსვლის შემდეგ სიტყვა მიეცა „ცენტროსოიუზის“ გამგეობის წევრს ა. ს. ბალაშოვს. მან გააკეთა მოხსენება „ცენტროსოიუზის“ ბალანსის დამტკიცების შესახებ. საარჩევნო კომისიის სანაბარაშო მოხსენება წაიკითხა ამ კომისიის თავმჯდომარემ დ. ს. ტომოფეევმა.

მოსმენილ მოხსენებათა გამო, დაიწყო კამათი. 22 აგვისტოს ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

სამახსოვრო მედალი

გოროდინოს ბრძოლის 150 წლისთავისათვის

ლენინგრადი, 21 აგვისტო. (საკდესი). ლენინგრადის ზარაფხანაში გამოუშვეს ბოროდინოს ბრძოლის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სამახსოვრო ბრინჯაოს მედალი. იგი დამზადებულია მოსკოველი მოქანდაკის მ. შმაკოვის ესკიზების მიხედვით.

მედლის წინა მხარეს გამოსახულია თოფმომარჯვებულ მამაც რუს ჯარისკაცთა ფიგურები. ისინი ემზადებიან მტრის წინააღმდეგ ხელჩართული ბრძოლისათვის. აქვეა თარიღები: „1812-1962“ და სიტყვები: „ბოროდინოს ბრძოლის ასორმოცდაათი წლისთავი“.

მედლის უკანა მხარე წარმოსახავს ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ მომენტს: რუსი არტილერისტები ცეცხლით იცავენ ფრანგ ცხენოსანთა შემოტევას რაევსკის ბატარეაზე.

ვიხსნათ ანტუან გიზენგას სიცოცხლე!

მოსკოვი, 21 აგვისტო. (საკდესი). კონგოელი ბალის ერთგული მეგობარი ანტუან გიზენგას სიცოცხლე კვლავ საფრთხეშია! თვითხებობისა და დევნის წინააღმდეგ ბრძოლისა ნიშნად იგი იძულებული გახდა გამოეცხადებინა შიმშილობა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დიდ შეშფოთებას იწვევს.

საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტმა დეპეშა გაუგზავნა აგრეთვე კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ს. ადოულას, რომელშიც საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო წრეების სახელით მიმართავს და მოუწოდებს განახორციელოს ღონისძიებანი, რათა სიცოცხლე შეუნარჩუნონ ანტუან გიზენგას.

საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტმა გაუგზავნა აგრეთვე ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციის ადმინისტრაციულ უ ტანს დეპეშა, რომელშიც მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საერთაშორისოდ განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი ანტუან გიზენგას სიცოცხლის გადასარჩენად.

კომიტეტი აცხადებს, რომ საბჭოთა ხალხი, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანი, დიდად არის შეშფოთებული ანტუან გიზენგას ბედით, რომელიც დიდი ხანია დაპატიმრებული ჰყავთ გაუსამართლებლად და საჭმის გამოუძიებლად. საბჭოთა ადამიანები გადაჭრით გმობენ კონგოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ თვალსაჩინო მოღვაწის, კონგოელი ხალხის დიდი შვილის პატრის ლუმუმბას თანამებრძოლისა და მიმდევრის დევნას.

სურათზე: ა. გიზენგა კუნძულ ბოლაბემბაზე.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეტალურგიის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ახვლედიანი** მამია გიორგის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მემანქანე
2. **ბენდიანიშვილი** პეტრე ვასილის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ელექტროლიზის საამქროს ოსტატი
3. **ბლიაძე** ალექსანდრე სერგის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საჩამომსხმელო საამქროს მემოდელე
4. **ბურცხოიძე** ზურაბ ვიქტორის-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 1 საამქროს მდნობელის თანაშემწე
5. **ბოროვკოვი** ანტონ ნიკიფორეს-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე
6. **გელიაშვილი** ელიზბარ გიორგის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აგლომერმედის საამქროს მექანიკოსი
7. **დეკანოზიშვილი** ნადეჟდა შალვას ასული — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სარემონტო-სამშენებლო საამქროს ნორმადარი
8. **იმედაშვილი** პეტრე ბაგრატის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აგლომერმედის საამქროს გაზის მეურნეობის ოსტატი
9. **იოხვიდოვიჩი** აბრამ მარკოზის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს უფროსი
10. **კალანდაძე** სულიკო ლეონტისაძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კირისა და დოლომიტის გამოსაწვავი საამქროს უფროსი
11. **კაპანაძე** ანდრია ილარიონის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წყლითმომარაგების საამქროს უფროსი
12. **კაუფმანი** სიმონ რომანის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოქსქიმიური ლაბორატორიის უფროსი
13. **კვანტალიანი** შოთა ძოკოს-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფერცეულსგლინვი საამქროს უფროსი მგლინავი
14. **კვაჭაძე** ზურაბ თომას-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ენერგეტიკული საამქროს უფროსი
15. **კირაკოსოვი** გრანტ ალექსანდრეს-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეტალურგიული ღუმელების სარემონტო საამქროს უფროსი
16. **კობახიძე** ლევან ვასილის-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 1 საამქროს უფროსი მდნობელი
17. **კორტავა** კლიმენტი ბესარიონის-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მთავარი მექანიკოსი
18. **კუტელია** სოლომონ გერმანეს-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
19. **ლექვინაძე** კენერა ვიქტორის ასული — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უბნის უფროსი
20. **მგალობლიშვილი** გივი პორფილეს-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე
21. **მეხრიშვილი** მიხეილ ვასილის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აგლომერმედის საამქროს რონოდასაწორების მემანქანე
22. **მღებრიშვილი** ელიზბარ გიორგის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კაპიტალური მშენებლობის მოწყობილობის უფროსი ინჟინერი.
23. **პოპოვი** ალექსანდრე თათევოსის-ძე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საამართველოს საწარმოო განყოფილების უფროსი ინჟინერი
24. **რუხაძე** ვიქტორ ფილიპეს-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორის მოადგილე
25. **სპიჯაკოვსკი** ბორის ისაკ-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსი
26. **სხირტლაძე** რევაზ არჩილის-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 2 საამქროს უფროსი მდნობელი
27. **ტიტიუნიკი** იზრაილ ნაუმის-ძე — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საამართველოს შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი
28. **ტოკლიკიშვილი** გიორგი ალექსანდრეს-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროს უფროსი
29. **ყველაშვილი** ზაქარია ისმაილის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე
30. **შეყრილაძე** ბუბა ნიკოლოზის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მექანიკური საამქროს მრანდავი
31. **ჭუმბურიძე** ივანე პორფილეს-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ენერგეტიკული საამქროს უბნის უფროსი.
32. **ხარბედია** ლეონოვიკ სიმონის-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ტექნიკური განყოფილების სექტორის უფროსი
33. **ხიზანიშვილი** სერგი ანდრიას-ძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1962 წლის 21 აგვისტო.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მეტალურგიის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება:

1. **ბუაძეს** აკაკი ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საამართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსს
2. **დვალიაიას** აკაკი ირაკლის-ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის აჯამეთის კარიერის უფროსს
3. **დობროლეჟინს** კლადიმერ მაქსიმეს-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საამართველოს მთავარ მექანიკოსს
4. **კუბლაშვილს** მიხეილ ალექსეს-ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კაპიტალური მშენებლობის საამართველოს მთავარ ინჟინერს
5. **მაღლაკელიძეს** ლავრენტი სოფრომის-ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 1 საღნობი საამქროს უფროსს
6. **მესხს** ალექსანდრე სიმონის-ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსს
7. **ოსლამენკოს** ლეონიდე სიმონის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საამართველოს მთავარ მგლინავს
8. **რაზმაძეს** მინა დიანოზის-ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს უბნის უფროსს
9. **სუმბაძეს** შალვა ზაქარიას-ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსის მოადგილე
10. **ჩიხლაძეს** თამაზ სარდიონის ასულს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსს
11. **ძაძამიას** ალექსანდრე ბესარიონის-ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კირისა და დოლომიტის გამოსაწვავი საამქროს უფროსის თანაშემწეს
12. **წიტაიშვილს** მიხეილ გიორგის-ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილეს
13. **ხეროდინაშვილს** შალვა ზურაბის-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საამართველოს საწარმოო განყოფილების უფროსს
14. **ჯიშკარიანს** ვლადიმერ დუტუს-ძეს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საამართველოს მთავარ ენერგეტიკოსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1962 წლის 21 აგვისტო.

რუმინელი ხალხის ეროვნული დღესასწაული

მოსკოვი, 22 აგვისტო. (საკდესი). ფაშისტური უღლისგან რუმინეთის განთავისუფლების მე-18 წლისთავის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რუმინეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს გეორგე გეორგიუ-დეჟს და რუმინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ონორ გეორგე მაურერს.

რუმინელი ხალხი, ნათქვამია წერილში, თავისი განთავისუფლების მე-18 წლისთავს ხვდება დიდი წარმატებებით პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას ღირსეული წვლილი შეაქვს მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში, აქტიურად ებრძვის სოციალისტური ქვეყნების დიადი თანამეგობრობის ერთიანობისა და დაარსმულობის განმტკიცებისათვის.

წერილში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც შემოქმედებითს შრომას ეწევიან კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განსახორციელებლად, გულწრფელად ახარებს რუმინელი ხალხის შესანიშნავი მიღწევები.

* * *

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს კორნელიუ მანესკუს.

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროში

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, ბრძანება გამოსცა გაუქმდეს საბჭოთა ჯარების გარნიზონის კომენდატურა ბერლინში. როგორც ცნობილია, 1955 წელს სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის ხელშეკრულების დადების შემდეგ, საბჭოთა კომენდატურა ბერლინში რეორგანიზებულ იქნა და მისი ფუნქციები განისაზღვრებოდა საგარნიზონო სამსახურის საკითხებით. კომენდატურის განკარგულებაში მყოფი საბჭოთა ჯარები ახორციელებდნენ კონტროლს დასავლეთ ბერლინში, დასავლეთ ბერლინის საზღვრებთან, გარე შემოვლებაზე, განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის გარნიზონების პერსონალისა და ტვირთის გადაადგილებისადმი, გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის მთავარსარდლობასთან არსებული სამი სახელმწიფოს კავშირის სამხედრო მისიების, წევრთა დასავლეთ ბერლინში შესვლისა და იქიდან გამოსვლისადმი, აწარმოებდნენ მთავარ გერმახელ სამხედრო დაბრაძავეთა საყოველთაო დაცვას შპანდაუში (სამი სახელმწიფოს ჯარებთან ერთად), აგრეთვე იცავდნენ საბჭოთა მეომრების ძეგლს ტირგარტენში.

ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო კომენდანტები დასავლეთ ბერლინში, რომელიც ფაქტიურად გადაქცეულია ნატოს სამხედრო ბაზად, ცდილობენ გამოიყენონ საბჭოთა კომენდატურის ორსაბმა დასავლეთის სახელმწიფოთა დაუსაბუთებელი ჩარევისათვის სუვერენული და დამოუკიდებელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი დედაქალაქის. საშიშია საქმეები. ისინი ცდილობენ აგრეთვე ისე წარმოსახონ ვითარება, თითქოს ახლაც არსებობს რაღაც ოთხმხრივი კომენდატურა ბერლინში, თუმცა ყველასათვის ცნობილია, რომ მან მეწყვიტა არსებობა ჯერ კიდევ 1948 წელს.

საბჭოთა ჯარების გარნიზონის კომენდატურის გაუქმება ბერლინში სავსებით შეეფაბამება იმ პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად ახორციელებს ევროპაში მეორე მსოფლიო ომის ნაშთების აღმოფხვრისათვის, გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისა და ამის საფუძველზე დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლებს დასავლეთ ბერლინში ეცნობათ, რომ ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის გარნიზონების პერსონალისა და ტვირთის დასავლეთ ბერლინში და იქიდან გადაადგილებისადმი, მთავარ გერმანელ დამნაშავეთა შპანდაუს საპყრობილის დაცვისადმი და საბჭოთა მეომრების ტირგარტენის ძეგლის დაცვისადმი კონტროლთან, დროებით ექვემდებარება გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფის შტაბს.

გუდაუთის რაიონის სოფელ ფსირცხას კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს თამბაქოს შეტეხა და ანემსვა.

სურათზე: (მარცხნიდან) კოლმეურნეობის ბრიგადირი გ. დალიანი, მოწინავე მეთამბაქეეები ი. ზეითუნიანი და მ. გომგციანი ამოწმებენ თამბაქოს ხარისხს.

ფოტო მ. ტარასოვისა.

ალსრულდა საუკუნის დიადი საქმე

საბჭოეთი გზებს უკაფავს კაცობრიობას ვარსკვლავებისაკენ

საბჭოთა კოსმოსური ხომალდების „აღმოსავლეთ-3“-ისა და „აღმოსავლეთ-4“-ის ისტორიაში პირველი ხანგრძლივი ჯგუფური ფრენისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენციის თაობაზე

ანდრიან ნიკოლაევისა და პავლე პოპოვიჩის გაფრენისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციაზე ჟურნალისტებმა მისცეს ბევრი კითხვა; რომლებზეც პასუხი გასცეს კოსმონავტებმა და მეცნიერებმა

პასუხი კითხვებზე

კითხვებზე პირველი უპასუხებს პ. რ. პოპოვიჩი.

კითხვა: როგორ დაეშვით, ხომალდით თუ ცალკე?

პასუხი: მე დავეშვი ისევე, როგორც დაეშვნენ გერმანე ტიტოვი და ანდრიან გრიგოლის-ძე — ხომალდის გვერდით.

კითხვა: ერთმანეთისაგან რა მანძილის დაშორებით დაეშვით?

პასუხი: დაახლოებით 200 კილომეტრის დაშორებით.

კითხვა: ხედავდით თუ არა ნიკოლაევის ხომალდს და როგორ ხედავდით?

პასუხი: მე უკვე გავეცი პასუხი ამ კითხვაზე ჩემს გამოსვლაში.

კითხვა: გვაინან თუ არა ერთმანეთს ხომალდები „აღმოსავლეთი-1“, 2, 3, 4?

პასუხი: ყველა ხომალდი „აღმოსავლეთი“ გვაინან ერთმანეთს. გარდა ამისა, რომ „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“ უფრო კომფორტაბელური, უფრო სრულყოფილი იყო.

კითხვა: ამტკიცებს თუ არა თქვენი ფრენა იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანს შეუძლია გადაიტანოს ხანგრძლივი კოსმოსური მოგზაურობა?

პასუხი: მე ვფიქრობ, რომ ჯერ ნაადრევია ამის შესახებ დასკვნების გაკეთება.

კითხვა: დაგეხმარათ თუ არა ფანტასტიკა გამხდარიყავით კოსმონავტი და ყველაზე ფანტასტიკური რა გეჩვენათ ფრენის განხორციელების პროცესში?

პასუხი: ყველაზე ფანტასტიკური ის მეჩვენა, რომ ვფრინავ ორბიტაზე კოსმოსში დედამიწის გარშემო. (ტაში).

კითხვა: რამდენი დრო იქნება საჭირო ახლანდელი ფრენის დროს შეღებული მონაცემების დასამუშავებლად შემდეგი გაფრენისათვის მომზადების მიზნით?

პასუხი: უნდა ვთქვა, რომ ეს კითხვა არა იმდენად მე მეკუთვნის, რამდენადაც მეცნიერებს — როგორ დაამუშავებენ ისინი მონაცემებს.

კითხვა: იქნება თუ არა შემდეგი გაფრენა კოსმოსში ახლანდელი ფრენის ანალოგიური და ექნება თუ არა ის დანიშნულება, რომ მომზადდეს კოსმონავტების ახალი ჯგუფი კოსმოსში ერთობლივი ფრენისათვის?

პასუხი: ჩვენი ჯგუფური ფრენის მასალების ანალიზი გვიჩვენებს: საჭირო იქნება გავიმეოროთ ფრენა, თუ შესაძლოა, გადავდგათ შემდეგი ნაბიჯი.

კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა, რომ ერთ-ერთი თქვენგანი კიდევ ერთხელ გაფრინდება კოსმოსში კოსმონავტების ახალ ბრიგადასთან ერთად?

პასუხი: უდიდესი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას.

კითხვა: მიგაჩნიათ თუ არა კოსმოსში ცხოვრება უფრო სასიამოვნოდ და საინტერესოდ, ვიდრე დედამიწაზე ცხოვრება? (სიცილი დარბაზში).

პასუხი: ამბობენ, „ყველგან კარგია, მაგრამ შინ უკეთესიაო“. (ტაში).

კითხვა: ვთხოვთ ამხანაგ პოპოვიჩს იმღეროს ორიოდე კუპლეტი „კოსმონავტების სიმღერიდან“. (ტაში).

პასუხი: სიამოვნებით ვიმღერებდი, მაგრამ აკომპანემენტი არ არის. **კოსმოსში მე და ანდრიანს ვარსკვლავები გვიწევდნენ აკომპანემენტს.** (ტაში).

კითხვა: თქვენი სურვილი იქნებოდა, რომ თქვენი ქალიშვილი ნატაშა გამხდარიყო პირველი კოსმონავტი ქალი, თუ იქნებ ქალები გამემგზავრებიან კოსმოსში, მანამდე, სანამ ნატაშა გაიზრდება?

პასუხი: ვფიქრობ, რომ ვინც კითხვა მომცა, თვითონვე გასცა პასუხი, რომ ქალები გაემგზავრებიან, სანამ ნატაშა გაიზრდება.

კითხვა: როგორია ამჟამად კოსმოსური ხომალდების მდგომარეობა? ვარგანან თუ არა ისინი შემდგომი გამოყენებისათვის?

პასუხი: თუ ნებას მომცემენ, მე კიდევ არაერთხელ სიამოვნებით გავფრინდებოდი ჩემი ხომალდით „აღმოსავლეთ-4“-ით. (ტაში).

კითხვა: რით იკვებებოდით ფრენის დროს? რა სასმელებს მიიღებდით ბევდით? (სიცილი დარბაზში).

პასუხი: მე უნდა ვთქვა: შევეკეცოდით ნამდვილ მიწიერ საჭმელს, ყნოსამდით მხოლოდ უალკოჰოლო სასმელებს. (სიცილი).

კითხვა: როგორი იყო მინიმალური მანძილი კოსმოსურ ხომალდებს შორის?

პასუხი: მინიმალური მანძილი ხომალდებს შორის იყო დაახლოებით 5 კილომეტრი. (ტაში).

კითხვა: რატომ არ იყო მოხსენიებული ხომალდების „აღმოსავლეთ-3-ისა და „აღმოსავლეთ-4“-ის წონა?

პასუხი: თვითეული მათგანის წონა დაახლოებით 5 ტონაა.

კითხვა: თქვენ კოსმოსში ასრულებდით ტანვარჯიშს. იყო თუ არა ნაკმარისი ადგილი და ასრულებდით თუ არა ტანმოსს?

პასუხი: აღგილი საკმარისი იყო. ჩვენ სიამოვნებით ვასრულებდით ფიზიკურ ვარჯიშს. რაც შეეხება ხტომას კოსმოსში უწონობის ვითარებაში, ამის გაკეთებას ვთავაზობ კორესპონდენტს. (**მეუხარე ტაში. სიცილი**).

კითხვა: რა ჰურჭლიდან სვამდით წვენებს და სხვა სითხეს და იღვრებოდა, შხეფდებოდა თუ არა სითხე?

პასუხი: მე უკვე ვთქვი ჩემს გამოსვლაში, რომ სითხე გვქონდა ტუბებში. იგი არ შხეფდებოდა, არ იღვრებოდა, თუ ეს მე ან მსურდა.

კითხვა: როგორ ასრულებდით ბუნებრივ მოთხოვნილებებს ფრენის დროს? (**სიცილი**).

პასუხი: ნორმალურად, ისევე როგორც დედამიწაზე. (**მეუხარე ტაში**).

კითხვა: სვამდით თუ არა გულის რევის საწინააღმდეგო წამალს?

პასუხი: მე საერთოდ წამლებს არ ვხმარობ. (ტაში).

კითხვა: ხომალდები „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“ დაეშვნენ არა იქ, სადაც „აღმოსავლეთი“ და „აღმოსავლეთი-2“. დაკავშრებულია თუ არა ეს პროგრესთან დედამიწაზე დაშვების ტექნიკაში?

პასუხი: დედამიწაზე დაშვება მოხდა ზუსტად პროგრამის მიხედვით.

კითხვა: ხომ არ იყო ამჯერად ამოცანად დასახული ორივე ხომალდის შეერთება კოსმოსში? ხომ არ იყო ნავარაუდევი ხომალდების „აღმოსავლეთ-3“-ისა და „აღმოსავლეთ-4“-ის ერთდროულად გაშვება?

პასუხი: კოსმოსში ხომალდების შეერთების ამოცანა არ ყოფილა ჩვენს წინაშე დასახული. კოსმოსური ხომალდების გაშვება მოხდა ზუსტად პროგრამის მიხედვით, რომელიც დედამიწაზე შემუშავდა.

კითხვა: რა საჭმელი გიყვართ? რას სჭამდით ხომალდში კოსმოსური ფრენის დროს?

პასუხი: მიყვარს ტეფტელი, შემწვარი ქათამი, ძეხვი. ამასვე ვჭამდი კოსმოსშიც. (**სიცილი**).

კითხვა: კოსმოსში თქვენ ინგლისურ ენაში მეცადინეობდით, რა წიგნს კითხულობდით?

პასუხი: ინგლისური ენის სახელმძღვანელოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

კითხვა: იციან თუ არა კოსმონავტებმა მორზეს ანბანი და შეუძლიათ თუ არა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ იგი?

პასუხი: ვიცით სავსებით საკმარისად, რათა დედამიწის ყოველ პუნქტში ვაცნობოთ ჩვენი მდგომარეობა და განწყობილება.

კითხვა: როგორ ასრულებდით გამამხნევებელ ვარჯიშს? გქონდათ თუ არა დინამიკური ზამბარები, რაიმე ძალსაზომი?

პასუხი: ვასრულებდით ისევე, როგორც დედამიწაზე, მაგრამ დაძაბვით.

კითხვა: ბულგარეთს თუ გადაუფრინეთ? როგორია იგი მაღლიდან?

პასუხი: ძვირფასო ბულგარელო მეგობრებო! უნდა გითხრათ, რომ ბულგარეთი კოსმოსიდან ისევე ლამაზია, როგორც დედამიწაზე. (**მეუხარე ტაში**).

კითხვა: დასავლეთის, განსაკუთრებით ამერიკის ბურჟუაზიულ პრესაში ავრცელებენ ვერსიას, თითქოს თქვენი კოსმოსური გაფრენა „საფრთხეს“ უქმნიდეს დასავლეთს. რა შეგიძლიათ თქვათ ამის თაობაზე?

პასუხი: როგორც თვითონ დარწმუნდით, მე და ანდრიან გრიგოლის-ძე ძალიან მშვიდობიანი ხალხი ვართ. ჩვენი პლანეტის გარშემო რომ ვფრინავდით, დედამიწის ყველა ხალხს და ყველა კეთილი ნების ადამიანს ვუსურვებთ ყოველი სიკეთე, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცება. (**მეუხარე ტაში**).

კითხვა: ფრენის დროს მუხლები ხომ არ გიკანკალებდათ, როცა ამერიკელ ჟურნალისტებს გიახსენებდით?

პასუხი: მაგარი კითხვაა! უნდა მოგახსენოთ საიდუმლოდ, რომ მუხლები მაშინაც კი არ აგვკანკალებია, როცა კოსმოსში ავდიოდით და დედამიწაზე ვეშვებოდით. ხოლო ამერიკელი ჟურნალისტების წინაშე ასაკანკალებელი მით უფრო არაფერი გვაქვს. (**მეუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

კითხვა: ამერიკის პრესის ბევრი ორგანო უკიდურესი გაბრაზებით უარყოფს კავშირს ჩვენი კოსმონავტების ფრენასა და იმას შორის, რომ ისინი სოციალისტურმა სახელმწიფომ გაუშვა, ხოლო მათი პილოტები კომუნისტები იყვნენ. ამტკიცებენ, სოციალისტური სისტემა აქ არაფერ შუაშია.

პასუხი: დიდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე რუსეთში ძალიან ბევრი ნიჭიერი მეცნიერი იყო: ციოლკოვსკი, კიბალჩიჩი და ბევრი სხვა, მაგრამ მათ საქმედ ვერ აქციეს თავიანთი იდეები და აზრები. მხოლოდ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გახადა შესაძლებელი მთლიანად გამოვლინებულიყო ჩვენი სახალხო ტალანტები. შეიძლება მოვიყვანო ასეთი მაგალითი: მე ახლა კოსმონავტი მფრინავი ვარ, მამაჩემი კი უბრალო მუშა, მეცეცხლურია. ასე რომ სოციალისტური სისტემა ძალიანაც შუაშია! სწორედ სოციალისტური სისტემაა ის სასტარტო მოედანი, საიდანაც ჩვენს საუცხო კოსმოსურ ხომალდებს ვუშვებთ. (**მეუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

გმადლობთ ყურადღებისათვის. (ტაში).

მ. ვ. კელდიში. აქვს კითხვები ა. გ. ნიკოლაევის მიმართ. ვთხოვ მას უპასუხოს.

ა. გ. ნიკოლაევი. აი კითხვები, რომლებსაც ბევრი კორესპონდენტი იძლევა: ძლიერ ახლო თუ მიადგნენ ხომალდები ერთმანეთს? შეეძლოთ თუ არა კოსმონავტებს ერთმეორესთან მიეყვანათ ხომალდები?

პასუხი: ორივე კითხვაზე შეიძლება ასე ვუპასუხოთ: ჩვენი გაფრენის პროგრამით ეს ამოცანა გათვალისწინებული არ იყო. ან ჩვენ ერთმანეთთან დაახლოებით ხუთ კილომეტრზე ახლოს არ მივსულვართ.

კითხვა: როგორი იყო ხომალდების მართვა — დედამიწიდან მართავდნენ თუ უშუალოდ თქვენ მართავდით?

პასუხი: ხომალდებს მართავდნენ უშუალოდ დედამიწიდან, აგრეთვე ჩვენც ვმართავდით.

კითხვა: „რადიოს უკანასკნელი ცნობების“ კორესპონდენტებისა: იუწყებოდნენ, რომ ჯგუფური კოსმოსური ფრენის პროგრამაში შედიოდა კოსმონავტების თავისუფალი ცურვა ხომალდების „აღმოსავლეთ-3“-ისა და „აღმოსავლეთ-4“-ის კაბინაში. რამდენჯერ დატოვეთ თქვენ კოსმოსური კაბინის საკრძალი, რა მეცნიერულ ექსპერიმენტებს აწარმოებდით ასეთ მომენტში?

პასუხი: ყოველდღე წარმოებდა ასეთი ექსპერიმენტები — მოხსნა, საკრძალიდან ადგომა, და საკმაოდ დიდი ხნითაც. ყოველ ექსპერიმენტს დაახლოებით საათი სჭირდებოდა. მახსნილი რომ ვიყავი, იმ დროს ბევრ სამუშაოს ვასრულებდი: მე კავშირი მქონდა „მთის არწივთან“, ესე იგი პავლე რომანის-ძესთან, კავშირი მქონდა დედამიწასთან, ვასრულებდი სხვადასხვა სინჯს, ვაწარმოებდი დაკვირვებას და ვმუშაობდი კაბინის მთელ აპარატურაზე.

ჩეხოსლოვაკიის გაზეთ „რუდე პრავოს“ და „პრავდის“ კორესპონდენტების კითხვა: როგორ იფასებთ თქვენ ფრენის მნიშვნელობას მთვარისაკენ და მთვარეზე ადამიანის გაფრენის საერთო პროგრამის თვალსაზრისით?

პასუხი: დადებითად ვაფასებ ამას, მიმაჩნია, რომ ხანგრძლივი ფრენის მოწყობის საძოგილება საჭიროა იგრეთვე მთვარეზე გაფრენის ამოცანების გადასაწყვეტად.

გაზეთ „მოსკოუ ნიუსის“ კორესპონდენტების კითხვები: გყავთ თუ არა კოსმონავტებს შორის არა მარტო მფრინავები, არამედ მეცნიერებიც და, თქვენი აზრით, რამდენად შორს არის ის დრო, როცა კოსმოსში ფრენას შეძლებენ ადამიანები სპეციალური მომზადების გაუვლელად?

პასუხი: კითხვის პირველ ნაწილზე. ჩვენ გვყავს სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლები კოსმონავტებს შორის. კითხვის მეორე ნაწილი. ის დრო, როცა მოუმზადებელი ადამიანი შეძლებს გაფრინდეს კოსმოსში, არც ისე შორს არის.

კითხვა: ჩვენი გაზეთების მკითხველები ევროპის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიის, ლათინური ამერიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების 80 ქვეყანაში ცხოვრობენ. რა შეგიძლიათ გადასცეთ მათ ახლა, როცა მშვიდობით დაბრუნდით დედამიწაზე?

პასუხი: მინდა ყველა მათგანს გადავცეს დიდი სალამი, ეუსურვო დიდი წარმატებანი შრომაში, ჯანმრთელობა, ბედნიერება, მშვიდობა და კეთილდღეობა. (ტაში).

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციის კითხვა: რა და რა სახეობის სპორტი, რა თქმა უნდა, გარდა საერთო ფიზიკური მომზადებისა, ყველაზე უფრო უწყობს ხელს კოსმონავტის საუკეთესო მომზადებას. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, რა და რა სახეობის სპორტს უწოდებთ თქვენ კოსმოსურს?

პასუხი: აქ არ შეიძლება გამოვყოთ რომელიმე სახეობის სპორტი სპეციალურად და ვუწოდოთ მას კოსმოსური. ყველა სახეობის სპორტი დიდ მომზადებას აძლევს ადამიანს კოსმოსური ფრენისათვის. ამიტომ არ შეიძლება გამოვყოთ რომელიმე მათგანი.

კითხვა: რა შესაძლებლობაა ფიზიკური ვარჯიშისათვის კოსმოსურ ხომალდზე მისი ფრენის დროს? რას გრძნობდით კოსმოსში ფიზიკური ვარჯიშის კომპლექსის შესრულების შემდეგ და რა ელემენტებისაგან შედგებოდა ეს კომპლექსი?

პასუხი: ფიზიკური ვარჯიშის შესრულების შემდეგ ვგრძნობდი, რომ ძალა და მხნეობა მემატებოდა. ვასრულებდი ყველა ვარჯიშს, რომლის შესრულებაც კი შეიძლებოდა ხომალდში. არ შეიძლებოდა მხოლოდ სირბილი და ხტომა, დანარჩენ ვარჯიშს ყველას ვასრულებდი.

„დეილი უორკერის“ კორესპონდენტის კითხვა: თქვენმა გაფრენამ მთელ მსოფლიოს გააცნო ჩუვაში ხალხი, ფრენის დროს ჩუვაშურ ენაზე თუ გაგზავნეთ მისალმება?

პასუხი: ჩემს ხალხს წინათაც იცნობდნენ როგორც სსრ კავშირის თანასწორუფლებიან ხალხს. ჩვენს ტერიტორიას რომ გადავუფრინე, მთელ საბჭოთა ხალხს გადავეცი კოსმოსიდან მხურვალე მილოცვა და მისალმება. მიმაჩნია, რომ ჩემი მისასალმებელი სიტყვები მთელ საბჭოთა ხალხს ეკუთვნოდა.

ბულგარული გაზეთის კორესპონდენტის კითხვა: თქვენ იცით, რომ ჩუვაში ხალხი და ბულგარელი ხალხი ერთი წარმოშობისა არიან. არის თუ არა იმედი, რომ ბულგარელი ქალიშვილები მალე ნახავენ თავიანთ ძმას? (**სიცილი. ტაში**).

პასუხი: არც მე მაქვს ნაკლები სურვილი, რომ გავიცნო ჩემი ბულგარელი დები. (**ტაში**).

კითხვა: წითელ მოედანზე გამართული პარადის დროს ტელევიზიით ჩანდა, რომ თქვენ სულ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ესაუბრებოდით. გვითხარით, რაზე საუბრობდით თქვენ? (**სიცილი**).

პასუხი: სხვადასხვა რამეზე.

უნგრეთის გაზეთ „ნეპსაბადშაგის“ კორესპონდენტის კითხვა: ფოტოაპარატით ან კინოაპარატით თუ გადაიღეთ რაიმე ხომალდიდან? თუ იცოდით, რა წუთებში გხედავდნენ თქვენ დედამიწიდან ტელემაყურებლები?

პასუხი: მე გადავიღე მთვარის ფოტოსურათი, ამოსვლა, ძალიან ლამაზი ხანაობაა. გადავიღე ხანაპირო. არ ვიცი, რა გამოვა. ვნახოთ, როცა გამოამჟღავნებენ.

მე ყოველთვის ხაქმის კურსში ვიყავი, როცა გადასცემდნენ ხომალდის ტელეგადამცემები და როცა ჩართული იყო კბინის განათების ნათურები. ვცდილობდი მეჩვენებინა სწორად ფეხრნა, სპეციალურად ვუშვებდი ხომალდის ჟურნალს, ფანქარს, ბინოკლს. არ ვიცი, დაინახეთ თუ არა ეს. ეფიქრებოდი ჩემს გაწყობილებას, ცერით ვანიშნებდი, ჩინებულია — მეთქი! (**სიცილი**).

ჟურნალ „რადიოს“ რედაქციის კითხვა: როგორ შეფასებას აძლევთ კოსმოსურ ხომალდებზე „აღმოსავლეთ-3“-სა და „აღმოსავლეთ-4“-ზე დადგმულ რადიოაპარატურას?

პასუხი: რადიოაპარატურა ჩინებულად მუშაობდა.

კითხვა: როგორ მუშაობდა მიმღებ-გადამცემი აპარატურა ორმხრივი კავშირის დროს კოსმოსში? დაბრკოლება ალბათ არ ყოფილა?

პასუხი: ხომალდებს შორის კავშირი საუკეთესო იყო. განსაკუთრებით კარგად ისმოდა სამხრეთ ნახევარსფეროში, დაახლოებით 55-60 გრადუსებზე. იქ ჩვენ შორის ყოველთვის უახლოესი მანძილი იყო. სმენადობა ისეთი იყო, თითქოს ერთმანეთის გვერდით ვიდექით და ვსაუბრობდით.

კითხვა: გიგონეთ თუ არა კოსმოსში საბჭოთა და საზღვარგარეთელი რადიომოყვარულების გამოძახება, რომლებიც ულტრამოკლეტალიან დიაპაზონში მუშაობდნენ? როგორ მიმდინარეობდა მაუწყებელი სადგურების მუშაობა?

პასუხი: მაუწყებელი სადგურები კარგად მუშაობდნენ. ჩვენ მთელი ფრენის განმავლობაში კავშირი გვქონდა დედამიწასთან. საბჭოთა და საზღვარგარეთელი რადიომოყვარულები შეგნებული ხალხია და ხელს არ გვიშლიდნენ დედამიწასთან და ერთმანეთს შორის მუშაობაში.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტის კითხვა: შეიძლება თუ არა ხომალდში კიდევ ერთი კოსმონავტი მოთავსდეს? რამდენ ხანს შეგეძლოთ განგეგრძოთ ფრენა?

პასუხი: „აღმოსავლეთი-3“ ნაგარაუდევია ერთი კაცისათვის. შეიძლო მეტ ხანს მეფრინა, მაგრამ დაგეგმილი იყო ოთხი დღე-ღამე. დავალება შევასრულე, ვფიქრობ წარმატებით. (**ტაში**).

იმავე კორესპონდენტის მეორე კითხვა: თქვენს ფრენას რაიმე სამხედრო მიზანი თუ ჰქონდა დასახული? შეიძლება თუ არა თქვენი კოსმოსური ხომალდები გამოიყენონ სამხედრო ამოცანების შესასრულებლად, მაგალითად, ფოტოდაზვერვის საწარმოებლად? შეუძლია თუ არა თქვენს ხომალდს ატომური იარაღი?

პასუხი: ჩვენი ხომალდები „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“ გამოყენებულ იქნა და მომავალშიც გამოყენებულ იქნება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით. ჩვენ არ მიგვაქვს არავითარი ბომბი. თუ მაინცდამაინც ამას ეხება საქმე, ჩვენ, გარდა ხომალდებისა, ხომ გვაქვს რაკეტები, რომელებსაც შეუძლიათ მიიტანონ, რაც საჭიროა და სადაც საჭიროა. (**ტაში**).

გაზეთ „ლუმანიტეს“ კორესპონდენტის კითხვა: ჯგუფური ფრენის დროს სახელდობრ რა მოქმედებას ასრულებდით, რომელიც წინასწარ შეთანხმებული გქონდათ ერთმანეთთან?

პასუხი: მე და პავლე რომანის-ძე ერთად ვემზადებოდით გასაფრენად. ჩვენ ჯერ კიდევ დედამიწაზე შევუთანხმეთ ერთმანეთს ყველა მოქმედება და ვასრულებდით იმას, რაც ჩვენთვის საჭირო იყო.

კითხვა: ხელი რომ მოაწერონ საერთაშორისო შეთანხმებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს რა დარგში შეუძლიათ ითანამშრომლონ კოსმოსის ათვისების საქმეში? როგორი შეიძლება იყოს საფრანგეთის როლი ასეთ თანამშრომლობაში?

პასუხი: ასეთ შეთანხმებას, რომ მოაწერონ ხელი, არა მარტო საფრანგეთი, არამედ ყველა ქვეყანა მოიგებს ამით და, მაშინ კოსმოსს გამოიყენებდნენ მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით, არა ისე, როგორც ამჟამად, როცა ამერიკელები დიდ სიმაღლეებზე აფეთქებენ ატომურ ბომბებს.

ამერიკის იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტის კითხვა: მოქალაქე ნიკოლაევ! თქვენ უცოლო ხართ. თუ გაქვთ ამჟამად რაიმე გეგმა ცოლის შერთვის შესახებ? (**სიცილი**). თუ გაქვთ, ვინ არის თქვენი რჩეული? თუ შემოგთავაზათ რომელიმე ქალიშვილმა ან ქალმა ცოლად გამოყოლა მას შემდეგ, რაც კოსმოსიდან დაბრუნდით? (**სიცილი**). ასეთი წინადადებები საზღვარგარეთიდან მოგივიდათ, თუ მხოლოდ საბჭოთა ქალიშვილებისაგან? თუ დაგაინტერესათ რომელიმე ამ წინადადებამ?

პასუხი: მე არცთუ ბევრი მინახავს უცხოელი ქალიშვილი. მგონია, ჩვენი რუსი ქალიშვილები საუკეთესონი არიან მსოფლიოში! (**ტაში**).

დიდი მადლობა ყურადღებისათვის!

მ. ვ. კელდიში: არის კიდევ კითხვები პროფესორ ვ. ი. იაზდოვსკის მიმართ. ბევრი არ არის. ვთხოვ მას სიტყვას:

პასუხს იძლევა პროფესორი ვ. ი. იაზდოვსკი.

კითხვა: რა ლონისძიებანი განხორციელდა გ. ს. ტიტოვის ნის შემდეგ, რათა კოსმონავტებს ნიკოლაევსა და პოპოვიჩს არ განეცადათ გულის რევა?

პასუხი: ამაზე უკვე ვილაპარაკე ჩემს გამოსვლაში, ამიტომ ვეღარ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

კითხვა: როგორი იყო რადიაციის შემაჯამებელი დოზა, რომელსაც კოსმონავტები იღებდნენ ფრენის დროს?

პასუხი: ანდრიან ნიკოლაევმა მიიღო შეჯამებული დოზა 50 მილირადი რგისა, პავლე პოპოვიჩმა კი — 26 მილირადი რგისა.

მ. ვ. კელდიში: მე კიდევ ვუპასუხებ რამდენიმე კითხვაზე.

კითხვა: შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ კოსმოსური ხომალდების ზიდიდე და წონა?

პასუხი: ხომალდები წონით და მოცულობით უახლოვდებიან „აღმოსავლეთსა“ და „აღმოსავლეთ-2“-ს; წონა დაახლოებით ხუთი ტონაა.

ბი-ბი-სის კორესპონდენტის კითხვა: ნებას მისცემენ თუ არა დასავლეთელ კორესპონდენტებს დაესწრონ შემდგომ გაშვებას?

პასუხი: ხომალდი „აღმოსავლეთი“ ორბიტაზე გადის რაკეტის დახმარებით. ჩვენ ამ რაკეტას ვიყენებთ და გადაწყვეტილი გვაქვს გამოვიყენოთ მშვიდობიანი მიზნით. მაგრამ სანამ ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე კვლავ მოუწოდებს ომისათვის, ჩვენ უნდა შეგონებთო ეს ყველაზე სრულყოფილი, ყველაზე მძლავრი რაკეტა თავდაცვისათვისაც და არ შეგვიძლია გამოვამეღავნოთ ეს საიდუმლოებანი, ამიტომ მოდით ასე შეეთანხმდეთ: თუ თქვენ შეძლებთ დაარწმუნოთ თქვენი მთავრობები ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას განიარაღების შესახებ შემდგომი გაშვებისათვის (**სიცილი, ტაში**), მაშინ მე კოსმონავტებთან ერთად გპირდებით, რომ დავარწმუნებთ ჩვენს მთავრობას ნება მოგცეთ დაესწროთ გაშვებას. (**სიცილი, ტაში**).

კითხვა: როგორ აღინიშნა საბჭოთა ხომალდების „აღმოსავლეთი-3“-ისა და „აღმოსავლეთ-4“-ის ხელსაწყოებზე დიდ სიმაღლეზე ამერიკის ატომური ბომბის აფეთქებით გამოწვეული რადიაცია?

პასუხი: აი ეს საკითხი, სერიოზული და არსებითია: ბუნებრივია — რომ არ გვცოდნოდა ვითარება, რომელიც შეიქმნა ამერიკის ატომური აფეთქების შემდეგ, ჩვენ არაბოდეს არ გავუშვებდით კოსმონავტებს ორბიტაზე, და მინდა ზოგი რამ გიამბოთ ამ ვითარების შესახებ.

უნდა ვთქვა, რომ, როგორც თქვენთვის ცნობილია, ამჟამად კოსმოსში დაფრინავს ბევრი თანამგზავრი, უადამიანოდ, ავტომატური აპარატურით, თანამგზავრები, რომლებიც საბჭოთა კავშირმა გაუშვა, ამ თანამგზავრებზე არის ხელსაწყოები, რომლებიც ზომავენ სხვადასხვა ფიზიკურ პარამეტრებს კოსმოსში. ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცნობთ ვითარებას, რომელიც წარმოიქმნა ამერიკის ატომური აფეთქების შემდეგ.

აფეთქების შემდეგ მრავალი დღის განმავლობაში არ შეიძლებოდა ადამინის გაშვება კოსმოსში. უფრო მეტიც, უფრო მაღალ ორბიტებზე ახლაც არ შეიძლება ადამიანის გაშვება კოსმოსში. ინ ორბიტაზე, რომელიც არჩეულ იქნა, ის შედეგები, რაც არსებობდა, გაშვების შომენტისათვის გაქარწყლდა. ჩვენს მეცნიერებს, რომლებიც აწარმოებენ კოსმოსის გამოკვლევას და ჩვენს კოსმონავტებს მიანნიათ, რომ კოსმოსის კვლევას, თანამედროვეობის ამ უდიდეს პრობლემას ამერიკის ატომუმრა აფეთქებამ ცუდი სამსახური გაუწია.

კითხვა: ამზადებს თუ არა საბჭოთა კავშირი კოსმოსში გასაფრენად კოსმონავტ ქალებს და საჭირო არიან თუ არა ეს კოსმონავტ ქალები? ვარაუდობს თუ არა საბჭოთა კავშირი განახორციელოს კოსმონავტი ქალების მომზადება მომავალში? არის თუ არა გეგმები, რომ ერთსა და იმავე დროს კოსმოსში გაუშვან კოსმონავტი მამაკაცები და კოსმონავტი ქალები? თუ საბჭოთა კავშირში ამზადებენ კოსმონავტ ქალებს, მაშინ რამდენია ისინი?

პასუხი: ამის შესახებ, ამზადებენ თუ არა კოსმონავტ ქალებს, უნდა ვთქვა, რომ ჩვენს ქვეყანაში თანასწორუფლებიანობაა. (**გამოცოცხლება დარბაზში**). ყველა დანარჩენზე კი მინდა ასე გიპასუხოთ: ჩემი დიდი მეგობარი — ჩვენი კოსმოსური ხომალდების შემქმნელი — ხშირად მეუბნება, რომ გიკვლის არც თუ ბევრი წელი და იგი შექმნის ხომალდს, რომლითაც ისევე ისეირნებენ კვირა დღეებით, როგორც ახლა სეირნობენ კატარღებით მდინარე მოსკოვზე. (**ხანგრძლივი ტაში**). ამიტომ აქ შესაძლებელი იქნება ყოველგვარი კომპანიასთან ერთად გაისეირნო.

კითხვა: თქვენი აზრით, როდის გახდება შესაძლებელი დაჯდომა სხვა პლანეტაზე? რომელი იქნება ეს პირველი პლანეტა? შესაძლებელია თუ არა ასეთი გაფრენა პირდაპირ დედამიწიდან თუ საჭიროა დამატებითი სადგური კოსმოსში? შესაძლებელია თუ არა გაფრენა სხვა პლანეტებზე და როდის? შესაძლებელია სხვა პლანეტებზე გაფრენა დაუჯდომლად თუ საჭიროა სადგური კოსმოსში?

პასუხი: საბჭოთა კავშირს არაერთგზის განუცხადებია, რომ ჩვენი მეცნიერები, ჩვენი კონსტრუქტორები ამუშავებენ საპლანეტათშორისო გაფრენების პრობლემას. თქვენ იცით, რომ საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ პირველმა მიაღწია მთვარეს, შემოუფრინა მთვარეს, საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ გაიფრინა პლანეტა ვენერას მახლობლად. საპლანეტათშორისო გაფრენები გრძელი და რთული გზაა.

ჩვენს მეცნიერებს უეჭველად აქვთ სხვადასხვა პროექტები. არის პროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ საშუალედო საპლანეტათშორისო სადგურების შექმნას; არის პროექტები, რომლებიც საშუალებას იძლევიან სხვა ხერხებით მივაღწიოთ სხვა პლანეტებს.

თუ რომელი პლანეტა იქნება პირველი, რომელზეც ადამიანი დაადგამს ფეხს, ახლა ჯერ კიდევ ძნელია ამის თქმა. იმისათვის, რომ გაეგებოთ ადამიანი სხვა პლანეტაზე, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იგი დაბრუნდება. ამისათვის კი უნდა ვიცოდეთ სხვა პლანეტაზე არსებული ფიზიკური ვითარება. ასტრონომები ათასწლეულთა ძალიან ბევრს სწავლობდნენ უახლოეს და უფრო შორეულ პლანეტებს, მაგრამ დღემდე ჩვენ, მაგალითად, დარწმუნებით არ ვიცით, თუ რა ტემპერატურა ან წნევაა ვენერაზე.

ჩვენ მიგვაჩნია რომ თავდაპირველად ავტომატური საპლანეტათშორისო სადგურები მიაღწევენ ამ პლანეტებს და მოგვიტანენ ცნობებს, რომლებიც საჭიროა, რათა უშიშრად გაუშვათ ადამიანი. მაშინ საბოლოოდ გადაწყდება, თუ რა ხერხით განხორციელდება ეს. როცა განხორციელდა პირველი საბჭოთა თანამგზავრის გაშვება, მეცნიერები, რომლებიც ამ პრობლემაზე მუშაობდნენ, შესაძლოა, გაიცინეს-დნენ, რომ გეთქვათ, ოთხი წლის შემდეგ ადამიანი გაფრინდება კოსმოსში და უკან დაბრუნდებაო. ყველა გეგმა ახლა გაცილებით უფრო სწრაფად სრულდება, ვიდრე შესაძლებლად მიგვაჩნდა თავდაპირველად.

კითხვა: ხომ არ შეგიძლიათ რაიმე გვითხრათ კოსმოსური კვლევის უახლოეს პროგრამაზე?

პასუხი: მე მგონია, რომ ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი გასცეს აკადემიკოსმა ბლაგონრავოვმა თავის გამოსვლაში.

მეტი კითხვები არ არის. ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია ერთხელ კიდევ მივულოცო და თქვენთან ერთად მივესალმო ჩვენს მეგობარ კოსმონავტებს.

მუსიკა, ათასი წლის შემდეგ გაცოცხლებული



ქართველმა მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ, გამოჩენილმა ლიტერატურათმცოდნემ, ფილოლოგმა და ისტორიკოსმა, ბოლო წლებში ახალი უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩენა მოახდინა ქართული ხელოვნების ისტორიის დარგში: მან აღოჩინა ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობა და აამეტყველა საუკუნეთა მანძილზე დადუმებული ძველი ქართული მუსიკის ძეგლები.

პავლე ინგოროყვამ თავისი აღმოჩენის შედეგები პირველად გააცხო ჩვენს საზოგადოებრიობას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების გაფართოებულ სხდომაზე 1956 წლის 26 ნოემბერს. მას შემდეგ პავლე ინგოროყვა განაგრძობდა გაღრმავებულს კვლევითს მუშაობას ამ დარგში. 1958 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№ 2) მან გამოაქვეყნა ძირითადი დებულებანი აღმოჩენისა. 1960 წელს საკავშირო რადიომ მოაწყო მოსკოვიდან ვრცელი გადაცემა, რომელითაც მსოფლიო გაიცნო როგორც აღმოჩენის არსს, ისე ძველი ქართული ჰიმნების (საგალობლების) ნიმუშებს, ამჟამად პავლე ინგოროყვამ დაამთავრა ვრცელი გამოკვლევა: „ანტიკური ხანისა და საშუალო საუკუნეთა ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნა და ძველი ქართული მუსიკის აღდგენა (ამოხსნილ ძეგლთა ნიმუშების დართვით)“, რომელიც მედის ცალკე ტომის სახით პავლე ინგოროყვას თხზულებათა კრებულში (შვიდტომეულში), რომელსაც აქვეყნებს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

მას შემდეგ, რაც პავლე ინგოროყვამ გამოაქვეყნა თავისი აღმოჩენის ძირითადი დებულებანი, აღმოჩენამ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. იუნესკოს (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის) ყოველთვიური ორგანო „იუნესკოს კურიერი“ გამოუმზადა აღმოჩენას. ჟურნალის მიმდინარე წლის № 5-ში გამოქვეყნდა პავლე ინგოროყვას ვრცელი წერილი, რომელიც დაიბეჭდა ამ ჟურნალის ყველა გამოცემაში: რუსულად, ინგლისურად (ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების გამოცემებში), ფრანგულად, გერმანულად, ესპანურად, არაბულად და იაპონურად. რუსულ გამოცემაში პ. ინგოროყვას წერილი გამოქვეყნდა შემდეგი სათაურით: „Музыка, ожившая через тысячелетие“. საზღვარგარეთულ გამოცემებში პ. ინგოროყვას წერილი დაიბეჭდა სათაურით: „საქართველოს დაკარგული ჰიმნები“, რომელსაც რედაქციებმა დაურთეს შემდეგი ქვესათაური: „მუსიკის ათასწლოვანი საიდუმლოება საბოლოოდ ამოხსნილია“. პ. ინგოროყვას წერილი იყო განხილული საგანი საერთაშორისო მუსიკალურ საბჭოში, სადაც მან ცხოვრი ინტერესი გამოიწვია. წერილის ტექსტი კომენტარების დართვით გადასცა სხვადასხვა ქვეყნების რადიომ. ახლო ხანში საბჭოთა რადიო და იუნესკოს რადიო-სამსახური მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის აწყობენ ამოხსნილი ძველ-ქართული ჰიმნების დიდ რადიოგადაცემას.

ვაქვეყნებთ პავლე ინგოროყვას წერილის ქართულ დედანს, სრულ ტექსტს.

□ □

პავლე ინგოროყვა

ელინთა უძველესი ისტორიკოსი ჰეროდოტე, რომელსაც „ისტორიის მამა“ ეწოდა, თავის დიად შრომას იმით იწყებს, რომ მოგვითხრობს ელადისა და კოლხეთის ურთიერთობის შესახებ, რაც ჯალარა წარსულს, ტროას ომის წინარე ხანას, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასეულს მიეკუთვნება. კოლხეთი ძველი საქართველოს ერთ-ერთი ნაწილია, დასავლეთ საქართველო.

„ისტორიის მამის“ მარტოოდენ ეს მოწმობაც ნათლად წარმოგვიჩენს, თუ რაოდენ ძველია ქართული კულტურის საწყისები.

საქართველო, რომელიც კავკასიაში, ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარეობს, არის ქვეყანა ევროპის კულტურული წრისა, ხოლო დასავლეთის, ტრადიციებთან ერთად საქართველომ შეითვისა აგრეთვე აღმოსავლეთის კულტურული ტრადიციებიც, მოგვცა რა ამ კულტურათა თავისებური სინთეზი.

საქართველოს კავშირზე — ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში — კლასიკური აღმოსავლეთის ქვეყნებთან,—ასურეთ-ბაბილონთან, ხეთურ და ურარტულ სამყაროსთან, მეტყველებენ მატერიალური კულტურის ძეგლები და ლურსმნული დამწერლობის ტექსტების ისტორიული ცნობები, რომლებიც ეკუთვნიან მეორე — პირველ ათასწლეულს ქრისტიანული წელთაღრიცხვის უწინარეს. ამავე დროს საქართველოს რომ უძველესი დროიდანვე ახლო კავშირი ჰქონდა დასავლეთთან, ძველ ელინურ მსოფლიოსთან, ამის შესახებ მოგვითხრობენ არა მხოლოდ ანტიკური ავტორები, არამედ ამასვე მოწმობენ მსოფლიო გავრცელების მქონე ლეგენდები, ასე — ლეგენდა არგონავტების მგზავრობისა კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად (ეს თქმულება ჰომეროსის წინადროინდელი ეპოქით თარიღდება), ასევე დიადი ლეგენდა პრომეთე-ამირანისა, რომელიც კავკასიის ქედზე იყო მოჯაჭვული; ეს უკანასკნელი ლეგენდა ელინურმა სამყარომ საქართველოდან შეითვისა და მან განუმეორებელი მხატვრული ხოცესხმა ჰპოვა ესქილეს გენიალურ ტრაგედიაში.

უფრო გვიან პერიოდში, ელინიზმის ეპოქასა და რომაულ ხანაში, საქართველო მაღალი კულტურის ქვეყანაა, დამოუკიდებელი სახელმწიფო დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიჯნაზე. ჩვენი წელთაღრიცხვის I და II საუკუნეებში საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებს რომისა და აღმოსავლეთის ურთიერთობის ისტორიაში. თუ რა დიდი პოლიტიკური ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოს სახელმწიფო ამ ეპოქაში, ამას ადასტურებენ ანტიკური ავტორები, რომლებმაც აგვიწერეს საზეიმო შიდება, მოწყობილი რომში იმპერატორ ადრიანეს მიერ საქართველოს მეფე ფარსმან II-ესთან შეხვედრის დროს. ჩვენი წელთაღრიცხვის 138 წელს. ფარსმანმა მონაწილეობა მიიღო დიდ რელიგიურ ცერემონიალში, — კაპიტოლიუმზე შესწირა მსხვერპლი, და მას უდიდესი პატივი მიუზღეს. ცხენზე მჯდომი ქართველი მეფის ქანდაკება აღმართულ იქნა მარსის ტაძარში.

სწორედ ამ ეპოქას, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისს, ეკუთვნის ძველი ქართული მუსიკალური დამწერლობის შექმნა, რაზეც ქვემოთ გვაქვს საუბარი.

IV საუკუნის დასაწყისში, 337 წელს, საქართველოში ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო სარწმუნოებად. საშუალო საუკუნეებში საქართველო აღმოსავლეთ-ქრისტიანული მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა. საჭიროა აღინიშნოს, რომ ბიზანტიისაგან განსხვავებით საქართველო ბერწყინვალე განვითარება მიიღო საერო ლიტერატურამ. საშუალო საუკუნეთა ქართველ კულტურის ისტორიაში XII-XIII საუკუნეებს ოქროს ხანა ეწოდება. ამ დროს საქართველოში ვითარდება ჰუმანისტური მოძრაობა, რომელიც შეიძლება შევადაროთ მომდევნო საუკუნეების ევროპულ რენესანსს. ამ ხანას ეკუთვნის შემოქმედება დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველისა, რომელიც არის ავტორი გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნისა“ (ამჟამად იუნესკო ამზადებს ამ პოემის თარგმანს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე). რუსთაველი იყო დიადი მომღერალი ჰუმანიზმისა, ერთი პირველმაუწყებელი რენესანსის იდეებისა მსოფლიო ლიტერატურაში.

ძველი საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაში სპეციალური ადგილი უჭირავს პროფესიული მუსიკის ძეგლებს, მუსიკისა, რომლის ისტორია საშუალო საუკუნეებიდან ანტიკურ ეპოქამდე აღწევს.

ჩვენს დრომდე მოღწეულია ხელნაწერები, გადაწერილნი ეტრატზე (ტყავზე), რომლებშიც ჩაწერილია ძველ-ქართული მუსიკის ნაწარმოებნი. ეს ხელნაწერები შეიცავენ ძველი საკულტო გალობის ძეგლებს, ქრისტიანული ჰიმნების კრებულს. ხელნაწერებში ძველი ქართული ჰიმნების სალექსო ტექსტებს თან ახლავს თავისებური არაბული სანოტო ნიშნები, რომლებიც მიწერილი აქვს სალექსო ტექსტის ყოველ სტრიქონს ზემოდან და ქვემოდან. ეს სანოტო ნიშნები ჩაწერილია ხელნაწერებში სინგურით (წითელი მელნით), რათა ისინი ადგილად გასარჩევი ყოფილიყო სალექსო ტექსტისაგან, რომელიც შავი მელნით არის ნაწერი.

ჩვენს დრომდე მოღწეული ძველ-ქართული მუსიკის ნოტირებული ხელნაწერები ეკუთვნიან X-XI საუკუნეებს. ასეთი ხელნაწერი ცნობილია ცხრა. ხუთი მათგანი დაცულია საქართველოში; ერთი—სინგრძნეთში, ათონის მთაზე, იბერთა მონასტერში, რომელიც დაარსებულია ქართველების მიერ მეათე საუკუნეში; ხოლო სამი—სინანის მთაზე, წმ. ეკატერინეს სახელობის სავანეში, სადაც აღრეულ საშუალო საუკუნეებიდან ქართული სამონასტრო კოლონია და მწიგნობრობის ცენტრი არსებობდა.



◇ ძველ-ქართულ საგალობელთა ხელნაწერი (სურათი ზემოთ), გადაწერილი 978-988 წლებში ქართველი ჰიმნოგრაფი და კომპოზიტორის მიქაელ მოდრეკილის რედაქციით.

ხელნაწერის არშიის მინიატურებზე გამოსახულია — მარჯვნივ ქართველი ჰიმნოგრაფი-კომპოზიტორი იოანე მტბევარი, რომლის საგალობლები მოთავსებულია ამ გვერდებზე; მარცხნივ — ბასილი კესარიელი, რომლისადმი მიძღვნილი საგალობლები.

ფრაგმენტი მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა ხელნაწერიდან (სურათი მარჯვნივ).

ამ ხელნაწერთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგალობელთა კრებული, გადაწერილი 978—988 წლებს შორის დიდი ქართველი მუსიკოსისა და პოეტის მიქაელ მოდრეკილის რედაქციით, აგრეთვე კრებული „ძლისპირნი“, გადაწერილი X საუკუნის ბოლოს იორდანეს მიერ (ამჟამად ორივე ეს ხელნაწერი დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში).

დასახელებული ნოტირებული ძველ-ქართული ხელნაწერები ძირითადად VIII-X საუკუნეთა რეპერტუარს შეიცავს. ხოლო რაც შეეხება თვით მუსიკალურ დამწერლობას, ე. ი. სანოტო სისტემას, იგი, როგორც გამოირკვა, ბევრად უფრო ძველი წარმოშობისაა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძველ-ქართულ ხელნაწერებში საგალობელთა დიდი რეპერტუარია წარმოდგენილი. სულ ყველა ნოტირებულ ხელნაწერში ჩაწერილია 1.300-მდე საგალობელი (ქორალი).

ნოტირებულ ხელნაწერებში აღბეჭდილი ესოდენ შორეული წარსულის მქონე ძველი ქართული მუსიკა, და თვით არქაული ქართული სანოტო დამწერლობაც, დიდი ხანია, რაც მკვლევართა ყურადღებას იპყრობდა, მაგრამ ამ უკანასკნელ დრომდე ყველაფერი გაუხსნელ საიდუმლოებად რჩებოდა.

ძველი ქართული მუსიკის მიმართ ინტერესს აღრმავებდა ის გარემოებაც, რომ ისტორიული ცნობების თანახმად, ძველი ქართული მუსიკა სრულიად დამოუკიდებელი ხასიათისა იყო, იგი განსხვავებოდა დასავლეთის მუსიკისაგან, ბერძნული მუსიკისაგან. XI საუკუნის ერთი ისტორიული ძეგლის უწყების თანახმად არსებობდა ორი სახის მუსიკა, ბერძნული და ქართული. მათ შორის განსხვავება ის იყო, რომ ვოკალური ბერძნული მუსიკა ერთხმიანი იყო, ხოლო ქართული — სამხმიანი.

უძველესი დროიდანვე საქართველოს მეზობლად მოსახლეობენ ხალხები, რომელთა მუსიკა ერთხმიანია. ასეთი იყო, მაგალითად, ბერძნული მუსიკა, როგორც ანტიკურ ეპოქაში, ისე საშუალო საუკუნეებშიც, თვით ახალ საუკუნეებამდე. თავიდანვე ერთხმიანი იყო და ასეთადვე დარჩა აღმოსავლეთის ხალხთა მუსიკაც. ამრიგად, ქართული ხალხი, თავისი განვითარებული მრავალხმიანი მუსიკით, საერო სიმღერითა და საკულტო გალობით, რომელიც აღბეჭდილია ჰარმონიული ენის თვითმყოფობითა და ორიგინალობით, ერთგვარი გამონაკლისია და წარმოადგენს კუნძულს ერთხმიანი მუსიკის მქონე ხალხთა შორის.

ძველ წყაროებში დაცულია პირდაპირი უწყება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჰიმნების ტექსტი ითარგმნებოდა ქართულად ბერძნული ენიდან, მათთვის ხელახლა იწერებოდა მუსიკა ქართულად, რადგან, როგორც ეს აღნიშნული აქვს XII საუკუნის დასაწყისის ერთ ძეგლში ქართველ მწერალსა და მეცნიერს არსენ იყალთოელს, „უცხონი იყვნეს“ ქართველი ხალხისათვის—„ძლისპირნი“ (გალობა) ბერძნული.

ცნობები, რომლებსაც გადმოგვცემს XI-XII საუკუნეთა ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, დასტურებენ, რომ სამხმიანობა ქართული ვოკალური მუსიკის უძველესი, დასაბამიური სახეა. ქრისტიანულ კულტში, რომელიც საქართველოში IV საუკუნეში დამკვიდრდა, გალობის სამხმიანობა გადმოსული ძველი წარმართული კულტიდან, ძველ-ქართული პროფესიული მუსიკიდან. საქართველო მრავალხმიანობის, პოლიფონიური მუსიკის უძველესი ქვეყანაა.

ქართული მუსიკალური დამწერლობის ამოხსნას წინ უძღოდა ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩენა ძველ-ქართული პოეზიის დარგში, რამაც ძველი ქართული მუსიკის საიდუმლოების ამოცნობას მიგვაახლოვა.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პრობლემებზე მუშაობის დროს მე ვიკვლევდი კარძოდ ჰიმნების ტექსტებსაც, ე. ი. სწორედ იმ ტექსტებს, რომელთაც სანოტო ნიშნები ახლავს. მაშინ ჰიმნები მაინტერესებდა როგორც ლიტერატურული ძეგლები.



საჭიროა აღინიშნოს, რომ ჰიმნები იმ დროს პროზაულ ნაწარმოებებად იყო მიჩნეული, რადგანაც ისინი ხელნაწერებში ისე კი არ არიან ჩაწერილი, როგორც დღეს ლექსი იბეჭდება (ყოველი ტაეპი ცალკე სტრიქონად), არამედ ჩაწერილია როგორც გაბმული ტექსტი. არავის არ გაუთვალისწინებია, რომ ძველათ გაბმული ტექსტის სახით იწერებოდა არა მარტო პროზა, არამედ ლექსებიც (მაგალითად, ძველ-ქართული იამბიკონები).

ჰიმნების ტექსტების კითხვის დროს ვიგრძენი მათი რთული რიტმი. თანდათანობით ვრწმუნდებოდი, რომ ჩემს წინაშე იყო რთული სალექსო ფორმა. ყურადღება მივაქციე აგრეთვე იმას, რომ ჰიმნების ტექსტში ნახმარი წერტილები არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვეულებრივი სასვენი ნიშნები. რადგან ექვი ავიღე, რომ ეს წერტილები სხვა ფუნქციას ასრულებენ, დავიწყე მარცვალთა გამოთვლა წერტილებს შორის და საოცარი კანონზომიერება აღმოვაჩინე. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი ჰიმნის პირველ აბზაცში მარცვალთა რაოდენობა წერტილებს შორის ასეთი რიგისა ჰქმნის: 7,7,7, 11, 7,7,5; ზუსტად ასეთივე თანმიმდევრობა აღმოჩნდა ამ ჰიმნის პირველი გალობის ყველა აბზაცში, გამოუკლებლივ, ვიდრე დასასრულამდე. ავიღე მეორე ტექსტი; აქ მარცვალთა რაოდენობა წერტილებს შორის პირველ აბზაცში ასეთი რიგისა იყო: 5,10,5,11,5,8,10; იმავე ჰიმნის ყველა მომდევნო აბზაცში დაცული იყო მარცვალთა რაოდენობის ზუსტად იგივე თანმიმდევრობა, ვიდრე გალობის დასასრულამდე. ასეთი სურათი ვნახეთ ყველა ჰიმნში, გამოუკლებლივ.

ამრიგად, გამოირკვა, რომ ჰიმნების ტექსტებში წერტილები აღნიშნავს ლექსის მეტრს, საზომს. ჰიმნები — ეს არის ურითმო ლექსები, რომელთაც მტკიცე სტროფული აგებულება აქვთ. ჰიმნის ყოველ სტროფს მოსდევს პარალელური სტროფები (ანტისტროფები), რომლებშიც აბსოლუტური იგივეობით მეორდება პირველი (ამოსავალი) სტროფის წყობა.

ქართული ჰიმნების ლექსთწყობა, პარალელური სტროფების სახით, სავსებით ანალოგიური ძველ ელინური ქორიკული ლირიკის ლექსთწყობასთან, ასევე ლექსებთან, რომელთაც გალობს ქორო ანტიკურ ელინურ ტრაგედიაში.

ასე იქმნა აღმოჩენილი ახალი, უაღრესად მდიდარი დარგი ძველი ქართული პოეზიისა — ჰიმნები, საგალობელთა პოეზია.

ჰიმნების სალექსო ფორმის ამოცნობის გზით მივადექით ძველ-ქართული სამუსიკო დამწერლობის ამოხსნის პრობლემას. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ორგანული კავშირი არსებობდა ძველს ეპოქაში მუსიკისა და ლექსის რიტმს შორის, ლექსისა და მუსიკის უწყვეტ კავშირზე მიუთითებს საჰიმნო პოეზიის რიტმის რთული ხასიათი, ყოველნაირი რიტმული შენაერთების სიმდიდრე და ნარნარობა, და ამავე დროს ზუსტი მეტრული შესატყვისობა სტროფებსა და პარალელურ ანტისტროფებს შორის. ახლა ჯერ მუსიკის საიდუმლოს გასნაზე იყო მიმდგარი, მუსიკისა, რომლის რიტმული პულსაცია უკვე იგრძნობოდა თვით ლექსის წყობაში.

როგორ ამოვხსენით ქართული მუსიკალური დამწერლობა? ჩვენ აქ არ შევჩერდებით ამოხსნის ზედმეტად სპეციალურ მხარეებზე და აღვნიშნავთ, თუ როგორ მიმდინარეობდა მუშაობა.

ერთი მუსიკალური ნიშანი ჩვენ ამოვიცანით დამწერლობის ამოშიფრვის დაწყებამდე, როდესაც ვმუშაობდით სალექსო ტექსტებზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნოტებიან ხელნაწერებში ლექსის ტექსტი სწერია შავი მელნით, ხოლო სამუსიკო ნიშნები წითლით (სინგურით). გამოირკვა, რომ ლექსში დამშეულ შავ წერტილს სამუსიკო ნიშნებში შეეფარდება წითელი წერტილი. ეს ბოლომდე გასდევს ყველა ჰიმნს აბსოლუტური თანმიმდევრობით. მაშასადამე, წითელი წერტილი მეტრის ნიშანი ყოფილა.

გაშიფრვის დაწყებისას წინასწარ ამოვიწერეთ ხელნაწერთაგან ყველა მუსიკალური ნიშანი (გადასინჯულ იქნა ხელნაწერთა ყოველი სტრიქონი) და მოვახდინეთ ნიშნების კლასიფიკაცია. ნიშანი სულ თვრამეტი აღმოჩნდა (ვარიაციული მოხაზულობის ნიშანთა ჩათვლით). ქართული მუსიკალური დამწერლობის ნიშანთა ყოველმხრივმა შედარებამ იმ სანოტო დამწერლობებთან, რომლებიც მიღებული იყო საშუალო საუკუნეებში ევროპისა და აღმოსავლეთ-ქრისტიანული მსოფლიოს ხალხთა შორის, საბოლოოდ დაადასტურა, რომ მათი მოხაზულობა განსხვავებული სახისაა.

ამასთანავე ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა უაღრესად ნიშნეულმა გარემოებამ: ნიშნები ქართულ სანოტო დამწერლობაში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საშუალო საუკუნეთა სხვა სანოტო დამწერლობებში. ცხადი გახდა, რომ ქართული მუსიკალური დამწერლობა განსხვავდება მათგან არა მარტო გარეგნულად, არამედ სტრუქტურულადაც.

ხოლო რით აიხსნება, რომ ქართულ სანოტო დამწერლობაში ცოტა ნიშანია? ამ საკითხზე ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მივედი დასკვნამდე, რაც დასაბამი გახდა საიდუმლოს ამოხსნისა.

მე მივხვდი — ქართულ სანოტო დამწერლობაში ცოტა ნიშანია იმის გამო, რომ ქართულ სანოტო სისტემას, ცხადია, საფუძვლად უდევს მუსიკალური ანბანი, წმიდა ალფაბეტი მუსიკალურ ბგერათა. სწორედ ამით განსხვავდება ქართული მუსიკალური დამწერლობა საშუალო საუკუნეთა სხვა სანოტო სისტემებისაგან, რომლებშიც ბევრი ნიშანია და რომლებიც წარმოადგენენ არა ალფაბეტს, არამედ იეროგლიფური ტიპის უფრო რთულ დამწერლობას.

ამის შემდეგ შევუდექით სანოტო დამწერლობის გაღრმავებულ შესწავლას. პირველ ყოვლისა საჭირო იყო იმისი გარკვევა, თუ რამდენად ხშირად მეორდებიან ნიშნები.

დავიწყეთ დეტალური სტატისტიკური გამოთვლა, რათა დგადგინა, თუ რამდენჯერ მეორდება ყოველი ცალკეული ნიშანი ყველა ხელნაწერში წარმოდგენილ ყველა საგალობელში, სალექსო ტექსტების მარცვალთა რა რაოდენობა მოუდის ყოველ ნიშანს, რა შეფარდებაა ამ მხრივ ნიშანთა შორის. ამის შედეგად გამოირკვა, რომ ქართულ სანოტო დამწერლობაში რვა ძირითადი ნიშანია. დანარჩენნი დამატებითი ნიშნებია და ძალიან იშვიათად გვხვდება. გარდა ამისა, ეს დამატებითი ნიშნები თავიანთ მოხაზულობითაც არ არიან დამოუკიდებელნი — ისინი წარმოადგენენ ძირითადი ნიშნების გრაფიკულ ვარიაციას.

ყოველივე ამან ხაბოლოოდ დაადასტურა პირველი მოსაზრება, რომ ქართული სანოტო დამწერლობა არის ალფაბეტი მუსიკალურ ბგერათა. რიცხვი რვა—სრული უეჭველობით მიუთითებდა, რომ ალფაბეტი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, დაყარებულია ოქტავაზე. ნათელი გახდა, რომ რვა სანოტო ნიშანი ეს არის ოქტავის (გამის) რვა საფეხური.

შემდეგ ჩვენ შევუდექით ოქტავის რვა ნიშნის თანმიმდევრობის გარკვევას. რვასაფეხურიანი გამა, როგორც ცნობილია, იყოფა ორ თანაბარ ნაწილად; ესენია: ქვემო წყება (ეგრეთწოდებული ქვემო ტეტრაქორდი) და ზემო წყება (ეგრეთწოდებული ზემო ტეტრაქორდი). თვითეული წყება თავის მხრივ ოთხი საფეხურისაგან შედგება.

ქართულ სანოტო დამწერლობაშიც რვა სანოტო ნიშნის სწორედ ასეთივე ორ წყებად დაყოფა გვაქვს. ერთი წყება, ოთხი ნიშანი, სტრიქონს ქვემოთ იწერება; ცხადია, რომ ეს ოქტავის ქვემო წყებას (ქვემო ტეტრაქორდს) შეესატყვისება. ოთხი ნიშანიც სტრიქონს ზევით დაისმის, — ეს ოქტავის ზემო წყების (ზემო ტეტრაქორდის) შესატყვისია.

ეს სავსებით ნათელი და უდავო იყო. მაგრამ რა თანმიმდევრობა უნდა ჰქონოდა ამ ოთხ ნიშანს თვითეულ წყებაში ზემო და ქვემო ტეტრაქორდების ფარგლებში?

ამისი დადგენა შესაძლო გახდა ნიშანთა მოხაზულობის შესწავლის გზით. სანოტო ნიშნები (ეს რასაკვირველია, მოსალოდნელი იყო და სწორედ ასეც აღმოჩნდა) შემოხვევითი ნაკრები როდია პირობითი ნახაზებისა; აქ ჩანს გარკვეული სისტემა, საიდანაც ცხადი ხდება, რომ ქართული სანოტო ნიშნების გრაფიკა მტკიცედ არის შეფარდებული ოქტავის წყობას. და მართლაც სანოტო ნიშნების თანმიმდევრობას თვალნათლივ ამჟღავნებს კანონზომიერი გრაფიკული კავშირი ცალკე ნიშანთა შორის, თანდათანობითი გადასვლა ერთი ნიშნიდან მეორეზე.

სისტემის გამოცნობისა და გრაფიკის მიხედვით ნიშნების დამწკრივების შემდეგ ჩვენ მივიღეთ ოქტავის შემდეგი სკალა (იხ ტაბულა).

ამ სკალაში ყველაფერი ნათელია. ოქტავის მუსიკალური წყობის შესაბამისად ჩვენ გხედავთ ქვედა წყებაში (ქვედა ტეტრაქორდში) თანდათანობით „აღმავლობას“ ცენტრისაკენ, და ნიშნებიც რაც უფრო უახლოვდებიან ცენტრს, თანდათან მარტივდებიან და პატარავდებიან. სწორედ ასევე ზედა წყებაში (ზედა ტეტრაქორდში) ჩვენ ვხედავთ საპირისპირო სვლას ცენტრიდან, ნიშნები გადადიან ერთიმეორეში პირუკუ მიმართულებით, თანდათანობით დიდი ხდებიან და რთულდებიან. ზედა და ქვედა წყებათა შორის ჩანს სარკის ანარეკლისებური შეფარდება.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ნიშანთა გრაფიკისა და ოქტავის მუსიკალური წყობის დამთხვევა. ოქტავის განაპირა ნიშნები, ე. ი. ქვედა წყების პირველი ნიშანი და ზედა წყების უკანასკნელი, მერვე ნიშანი, მოხაზულობით მონათესავენი არიან. მერვე ნიშანი სარკისებური შეფარდებით იმეორებს პირველი ნიშნის გრაფიკას (ემატება მხოლოდ პატარა ხაზი). ორი ნიშნის ეს პარალელიზმი სავსებით კანონზომიერია: მუსიკალური მხრითაც პირველი და მერვე საფეხურები ხომ ორეულები არიან.

სანოტო ნიშნების თანმიმდევრობა შემოწმებულ იქნა სხვა გზებითაც.

გამოთვლის საფუძველზე ირკვევა, რომ ოქტავის მეხუთე საფეხურის სანოტო ნიშანი საკლესიო საგალობლებში გვხვდება გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე დანარჩენი ნიშნები, ეს გასაგებიც არის. ოქტავის მეხუთე საფეხური საკლესიო მუსიკაში ყველაზე მეტად არის გამოყენებული, იგი წარმოადგენს, ასე ვთქვათ, მელოდიის ცენტრს (ამატომაც მიეკუთვნება მას სახელწოდება „დომინანტა“). გარდა ამისა, ჰიმნების უკანასკნელ ტაქტში უნდა ქღერდეს უპირატესად ტონიკა, ოქტავის პირველი ან მერვე საფეხური. ესეც დადასტურდა.

ამრიგად იქმნა ამოცნობილი სანოტო ნიშნების თანმიმდევრობა, ეს უკვე მეორე ნაბიჯი იყო საიდუმლოს ამოხსნის გზაზე.

შემდგომში, ძველი ქართული სხვადასხვა წყაროების ჩვენებათა საფუძველზე ჩვენ შევძელით გაგვერკვია სანოტო ნიშნებისა და ოქტავის საფეხურების თავდაპირველი სახელწოდებანი. ამან მოგვცა დამატებითი სრულიად ურყევი საკონტროლო დადასტურება იმისა, რომ გაშიფრვა სწორია.

გვრჩებოდა გასარკვევი უკანასკნელი ძირითადი საკითხი, უნდა დაგვედგინა, თუ რა ბგერებს აღნიშნავს თვითეული ნოტა, ე. ი. უნდა გვეპოვა გასაღები ოქტავის ნოტების წასაკითხად.

ჯერ კიდევ მუშაობის დასაწყისშივე ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ყოველი ჰიმნის თავში, ტექსტის პირველ სტრიქონთან წარწერილი იყო, თუ რომელ „ხმაზედ“ უნდა ეგალობათ იგი. სულ მითითებული იყო რვა „ხმა“. ეს არის ეგრეთწოდებული „რვახმიანობა“ ძველ საქრისტიანო მუსიკისა. „რვახმიანობა“ მიუთითებს დიატონური წყობის საეკლესიო კილოებს (მოდუსებს), რომლებზედაც აგებული იყო ძველი ქრისტიანული მსოფლიოს მუსიკა. ყოველი „ხმა“ განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა წაიკითხოთ რვასაფეხურიანი გამის ნიშნები.

I ხმა ეს არის გამა, რომელიც იწყება ბგერიდან „რე“, II ხმა—ბგერიდან „მი“, III — ბგერიდან „ფა“, IV — ბგერიდან „სოლ“, V — ბგერიდან „ლა“, VI — ბგერიდან „სი“, VII — ბგერიდან „დო“, VIII „ხმა“ იმეორებს პირველი „ხმის“ რეგისტრს.

ამრიგად ძველ ქართულ მუსიკალურ დამწერლობაში წარწერა „ხმის“ შესახებ იმავე ფუნქციას ასრულებს, რომელსაც თანამედროვე სანოტო სისტემაში ასრულებს ნიშანი „გასაღები“.

ეს იყო მესამე დამამთავრებელი ნაბიჯი ძველ-ქართული სანოტო დამწერლობის საიდუმლოების ამოცნობის გზაზე.

ამრიგად, წარწერა „ხმების“ შესახებ მიგვითითებს, რომ ყოველი კილოს („ხმის“, მოდუსის) ფარგლებში — ოქტავის რვა საფეხურია. ამ ვითარებასთან ზედმიწევნით არის შეფარდებული ის ფაქტი, რომ სანოტო ნიშნებიც რვაა. ეს „ტოლობა“, ორმაგი დამთხვევა, მათემატიკური სიზუსტით ადასტურებს მთელი სისტემის მთლიანობასა და ურყევობას.

გაშიფრვის ძირითადი საკითხების გადაჭრის შემდეგ გარკვეულ იქმნა დანარჩენი დამატებითი საკითხებიც მეორე რიგისა, ამ დამატებით საკითხებზე, რომელთაც უფრო სპეციალური ხასიათი აქვთ. აქ აღარ შევჩერდებით.[1]).

ამრიგად, შესაძლებელი გახდა ჰიმნების მელოდიები გადაგვეტანა სანოტო ნიშნებზე. ისევე როგორც რომაულ-კათოლიკურ საკულტო გალობის სანოტო ჩანაწერებში, კიდევ XIII საუკუნემდე, იწერებოდა ტენორის პარტია (ეგრეთწოდებული „კანტუს ფირმუსი“). ასევე ქართულ ხელნაწერებში იწერებოდა წამყვანი მელოდია, რომელსაც ძველ-ქართულად „ძლისპირი“ ეწოდებოდა, რაც „ხმათა წინამძღვარს“ აღნიშნავს. თანმხლები ხმები ძირითადი მელოდიის შეპანებას იძლეოდა და მას ასრულებდნენ მიღებული ნორმების თანახმად, ქართული ხალხური ჰარმონიის შესაბამისად.



სურათებზე: (ზემოთ) პავლე ინგოროყვას ნაშრომის სათაურები ყურნალ „კურიერ იუნესკოს“ მეხუთე ნომრის გამოცემებში; (ქვემოთ) ყურნალ „კურიერ იუნესკოს“ რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური და იაპონური გამოცემები, სადაც დაბეჭდილია პავლე ინგოროყვას ნაშრომი.

ამრიგად, გამოკვლევის პირველი ნაწილი დამთავრებულად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, საფუძველი ნიშნების სისტემა გახსნილი იყო, ქართული სანოტო დამწერლობა — ამოცნობილი.

ახლა შეიძლებოდა შევდგომოდით თვით მუსიკალური ტექსტების წაკითხვას. დავიწყეთ მეათე საუკუნის ჩანაწერების გადატანა თანამედროვე სანოტო ნიშნებზე. პირველი ჰიმნი, რომელის ტრანსკრიპცია შევასრულეთ, იყო „გიხაროდენ“, ქალწულ მარიამის საოდიდებელი ჰიმნი. ძნელია გადმოცემა იმ განუმეორებელი განცდისა, როდესაც პირველად ვისმენდი საუკუნეთა სიღრმიდან მოღწეულ ხმას, რაც ათი საუკუნით იყო ჩვენგან დაშორებული.

ამოშიფრვის დროს შეცდომა რომ ყოფილიყო დაშვებული, შედეგად შემთხვევითი და უეზოდ თავმოყრილი ხმებიღა დაგვრჩებოდა. ხოლო ჩვენ ვისმენდით მშვენი



მოძმე ქვეყნების თანავარსკვლავედში

ახალი ცხოვრების მშენებლობის სახარულოდ და ბედნიერებით აღსავსე გულით დღესასწაულობს რუმინელი ხალხი ფაშისტური უღლისაგან თავისი ქვეყნის განთავისუფლების მეთვრამეტე წლისთავს. 1944 წლის 23 აგვისტოს რუმინეთის მშრომელებმა გამოიყენეს ის ხელსაყრელი პირობები, რომლებიც შექმნა საბჭოთა არმიის გამარჯვებებმა ჰიტლერულ დამპყრობლებთან ომის ფრონტებზე, და მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით შეიარაღებული აჯანყება მოახდინეს.

ჩვენმა ხალხმა დაამხო ფაშისტური დიქტატურა და თავისი ნამდვილი მტრის — ჰიტლერიზმის წინააღმდეგ მიბრძანა იარაღი. მკერ საბჭოთა არმიასთან ერთად ომობდა იგი ნაცისტური გერმანიის სრულ განადგურებამდე.

23 აგვისტოს ნათელი დღე მობრუნების პუნქტად წარმოადგენს რუმინეთის სახელმწიფოს ისტორიაში. თუმცა ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების დღიდან გავიდა მხოლოდ თვრამეტი წელი — ისტორიაში შედარებით მოკლე პერიოდი, ეს წლები, — იყო წლები ღრმა რევოლუციური გარდაქმნებისა, რომლებიც მიღწეულ იქნა მთელი ხალხის ბრძოლითა და თავდადებული შრომით.

რუმინეთში კოლექტივიზაციის დამთავრებისადმი მიძღვნილ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების რიგგარეშე სესიაზე წარმოთქმულ სიტყვაში ამბ. გეორგიუ-დეჟმა აღნიშნა, რომ რუმინეთის სახალხო-რესპუბლიკაში სოციალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა ქალაქშიც და სოფლადაც. ამის შედეგად უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი და კიდევ უფრო განმტკიცდა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

თანმიმდევრულად ახორციელებდა რა ლენინურ პოლიტიკას, ჩვენმა პარტიამ უზრუნველყო სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და უწინარეს ყოვლისა მძიმე მრეწველობის როგორც მთელი ეკონომიკის ზრდის საფუძვლის განვითარების ისეთი ტემპები, რომლებიც რუმინეთის ისტორიის არ ახსოვს. სახალხო ხელისუფლების წლებში ჩვენს ქვეყანაში შექმნილია თანამედროვე ენერგეტიკული, მეტალურგიული, ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა, მანქანათმშენებლობის ახალი დარგები, ათვისებულია ტრაქტორების, სატვირთო ავტომობილების, საზღვაო გემების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ელექტროტექნიკური, სამთამადნო და ნავთობის მოწყობილობის წარმოება. 1949-1961 წლებში გარდაიქმნა, მოდერნიზებული და გაფართოებულია 500-მდე მოქმედი საწარმო და აშენდა 280-ზე ახალი ქარხანა და საამქრო. 1961 წელს 1949 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 5,5-ჯერ გაიზარდა.

დიდი წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობაშიც. 1956-1960 წლებში მარცვლეულის საშუალო წლიური პროდუქცია 1934-1938 წლებთან შედარებით გაიზარდა 1.170 ათასი ტონით, ხოლო მარტო 1961 წელს — 2.600 ათასი ტონით. სწრაფად ვითარდება მეცხოველეობა. მიმდინარე წლის დამდეგს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა შეადგენდა 4.707 ათას სულს — 1.054 ათასი სულით მეტს, ვიდრე 1938 წელს.

სახალხო მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული შესანიშნავი მიღწევები უზრუნველყოფენ რუმინეთის მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომ განუწყვეტელ აღმავლობას. 1961 წელს 1949 წელთან შედარებით რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი 3,5-ჯერ გადიდდა. უკანასკნელ თორმეტ წელიწადში რეალური ხელფასი გაიზარდა ეთითორად, სახელმწიფოს ხარჯები, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე — 5-ჯერ. დიდი გაქანება მიიღო საბინაო მშენებლობამ. საქონლის გაყიდვა სახელმწიფო სავაჭრო ქსელის მეშვეობით 1961 წელს თითქმის 5-ჯერ გადიდდა 1940 წელთან შედარებით.

ეკონომიკის ყველა დარგის სწრაფ განვითარებასთან და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად ვითარდება მეცნიერება და კულტურა, რომლებიც ახალი რუმინეთის ხალხის ფართო მასების სამსახურშია ჩაყენებული.

დიდი გამარჯვებანი, რომლებიც მიღწეულია რუმინელი ხალხის მთავარნებელი და თავდადებული შრომის შედეგად, მჭიდროდ არის დაკავშირებული ძმურ და ყოველმხრივ დახმარებასთან, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას, ყველა სოციალისტური სახელმწიფოს ამხანაგურ თანამშრომლობასთან და ურთიერთდახმარებასთან.

ჩვენი ხალხი უაღრესად მადლიერია საბჭოთა ხალხისა ყოველმხრივი დახმარებისათვის. ამ მადლიერების მკაფიო გამოხატულება იყო გულითადი მიღება, რაც მილიონობით რუმინელმა მშრომელმა გაუწია საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში მისი ამასწინანდელი ვიზიტის დროს.

ზეიმით აღნიშნავს რა ეროვნულ დღესასწაულს, რუმინელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ააშენოს სოციალიზმი. ჩვენი ქვეყნის თვითეული მშრომელის გული ჟღერს სტატეკენი, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვა რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიტინგზე ბუქარესტში: „რუმინეთის სახალხო-რესპუბლიკა დიდი სოციალისტური მშენებლობაა. ამ მშენებლობის სული და გული არიან რუმინელი კომუნისტები, რომელთა ხელმძღვანელობითაც ხალხი ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევს სოციალისტურ მშენებლობაში.

სასიამოვნოა ხედავდე, რომ რუმინელ ხალხს პარტიის მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკა თავის პოლიტიკად მიაჩნია და ძალღონეს არ იშურებს მისი განხორციელებისათვის. სავსებით უეჭველია, რომ რუმინეთის მშრომელები, რომლებმაც შეძლეს მოკლე ვადებში შეექმნათ სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წარმატებით დაამთავრებენ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას, ახალ სიმაღლეზე აიყვანენ თავიანთი ქვეყნის ეკონომიკას, კულტურას, ცხოვრების დონეს.

სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ერთად რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას თავისი წვლილი შეაქვს მშვიდობის დაცვის საქმეში, გადაჭრით მოითხოვს საყოველთაო და სრულ განიარაღებას, სადავო საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიან გადაჭრას, ხალხთა თანამშრომლობასა და დაახლოებას. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა მხარს უჭერს განიარაღების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ წარადგინა ჟენევის კონფერენციის განსახილველად, აგრეთვე საბჭოთა წინადადებებს, რომლებიც ეხება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას.

მოძმე სოციალისტური ქვეყნების მძლავრ თანავარსკვლავედში ჰყვავის და მტკიცდება, ახალ ძალებს იკრებს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა!

• • •

ბუქარესტი. რესტორან „პესკარუშის“ ტერასაზე.



ფეხბურთის სიურპრიზები

გუშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში შედგა საკავშირო პირველობის მორიგი შეხვედრები „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივებისათვის.

პირველი ქვეჯგუფი

მოსკოვში თამაშობდნენ პირველი ქვეჯგუფის ლიდერთა წარმომადგენლები არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ლენინგრადის „ზენტრის“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა ცსკა-ს გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

რიგაში ადგილობრივი „დაუგავა“, რომელიც სატურნირო ცხრილში უკანასკნელ ადგილზე იმყოფება შეხვდა ერევნის „სპარტაკს“ და დაამარცხა მეტოქე 2:0.

ალმა-ათაში ერთმანეთს შეხვდნენ ვილნიუსის „ჟალგირისისა“ და ალმა-ათის „კაირატის“ ფეხბურთელთა კოლექტივები. შეხვედრაში ფიქსირებულ იქნა ფრე 2:2.

დონეცკში შედგა პირველობის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მფლობელ „შახტიორსა“ და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონ კიევის „დინამოს“ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს დონეცკელებმა ანგარიშით 3:0.

კიშინიოვში თამაშობდნენ დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბისა და კიშინიოვის „მოლდოვას“ გუნდები. მატჩის შედეგია ფრე — 1:1.

მეორე ქვეჯგუფი

ხარკოვში მეორე ქვეჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი ტაშკენტის „პახტაკორი“ შეხვდა ხარკოვის „ავანგარდს“ და დამარცხდა 1:2.

ლენინგრადის დინამოელებს საკუთარ მოედანზე მატჩი ჰქონდათ თავიანთ მოსკოველ თანაკლუბელებთან. შეჯიბრება დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით 2:0.

მინსკში თამაშობდნენ ადგილობრივი „ბელარუსსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდები. მატჩის შედეგია 1:0 სპარტაკელთა სასარგებლოდ.

ბაკოში „ნეფტიანიკი“ შეხვდა მეორე ქვეჯგუფის აუსტაიდერს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

გუშინ ქუთაისში შედგა საკავშირო პირველობის მორიგი მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის. ამ კოლექტივების პირველი წრის შეხვედრა თბილისში დამთავრდა ფრედ — 0:0, ამიტომ გუშინდელ მატჩზე [illegible] მოიწვია.

ქუთაისი

მატჩი ქუთაისში

შეჯიბრების პირველი ნახევრის შედეგი იყო 1:0 დინამოელთა სასარგებლოდ. მე-19 წუთზე ბურთი გიტანა მელაშვილმა. მეორე ნახევარში თბილისელებმა კიდევ 2 გოლით გაზარდეს ანგარიში (ალალეევი, ზეინკლიშვილი), მაგრამ თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე სირაძემ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა.

მატჩი დამთავრდა თბილისის დინამოელთა გამარჯვებით 3:1.

დინამოელთა რიგებში იყვნენ — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალეევი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი.

სპორტული ქრონიკა

☐ **ლაიპციგში** გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ცურვაში. წყალში ხტომასა და წყალბურთში. ზუგზე ცურვაში 200 მეტრზე ჩემპიონი გახდა ლ. ბარბიერი (სსრ კავშირი).

☐ **გუშინ** ბათუმში ადგილობრივმა „სპარტაკმა“ დაამარცხა ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდი 1:0 და საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა.

☐ **საქართველოს** პროფსაბჭოს თასის გათამაშების ფინალური მატჩი ფეხბურთში მაუდ-ქამელის კომბინატისა და გვირაბმშენის გუნდებს შორის, რომელიც გუშინ შედგა დამთავრდა ფრედ (1:1). დღეს გაიმართება განმეორებითი შეხვედრა.

გათამაშების ცხრილი

მეორე ქვეჯგუფი

მდგომარეობა 23 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მ.)	15	8	4	3	22—12	20
„დინამო“ (თბ.)	15	7	5	3	22—12	19
„ტორპედო“ (მ.)	14	7	4	3	32—14	18
„სპარტაკი“ (მ.)	14	8	2	4	32—17	18
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	16	5	6	5	23—20	16
„პახტაკორი“ (ტ.)	15	5	6	4	17—18	16
„ბელარუსი“ (მნ.)	15	5	3	7	12—15	13
„ავანგარდი“ (ხ.)	15	5	2	8	13—23	12
„დინამო“ (ლ.)	15	4	4	7	9—28	12
„ტორპედო“ (ქ.)	15	3	5	7	17—29	11
„კრ. სოვ.“ (კუიბ.)	15	3	3	9	15—26	9

კერესი თუ გელერი?

ანგარიშია 3:3

როგორც ვიუწყებოდით გროსმაისტერების პაულ კერესისა და ეფიმ გელერის საპაჭრაკო მატჩის მეექვსე პარტია გადადებული იყო პ. კერესისათვის მძიმე მდგომარეობაში. პარტიის დამთავრება უნდა შემდგარიყო გუშინ, მაგრამ პ. კერესმა ბრძოლის გაგრძელება ზედმეტად ჩათვალა და თავი დამარცხებულად ცნო.

დიდი ინჟერესი

ლონდონი, 21 აგვისტო. (საკდესი). ლონდონში დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კოსმონავტების ა. ნიკოლაევისა და პ. პოპოვიჩის გამოსვლებმა მოსკოვის პრეს-კონფერენციაზე. ფრენის დაწვრილებითმა ამბებმა, რაზედაც ორმა საბჭოთა კოსმონავტმა ილაპარაკა, შეადგინეს ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კორპორაციის საინფორმაციო ბიულეტენების ძირითადი ნაწილი.

ლონდონის საღამოს გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდეს ცნობები პრეს-კონფერენციის შესახებ. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ცნობამ, რომ იყო მომენტი, როცა ორი კოსმოსური ხომალდი ორბიტაზე დაახლოებით 5 კილომეტრ მანძილზე იმყოფებოდნენ ერთმანეთისაგან.

გაზეთი „ივნინგ სტენდარდი“ ხაზს უსვამს ნიკოლაევის განცხადებას, რომ თანამგზავრი ხომალდები „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“ უფრო სრულყოფილი და კომფორტულია, ვიდრე „აღმოსავლეთი-1“ და „აღმოსავლეთი-2“, თუმცა ამ კოსმოსური ხომალდების პრინციპული მოწყობილობა ანალოგიურია.

ტელეგრაფი გვაცნობებინებს

△ **რომი**, 21 აგვისტო. (საკდესი). როგორც ბოლონიიდან იუწყებიან, იქ დააპატიმრეს ჰიტლერული არმიის ყოფილი მაიორი ერჰარდ კრეგერი, რომელსაც ეძებენ ვუპერტალის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) სასამართლო ხელისუფლები. კრეგერი მონაწილეობდა 1941 წელს საბჭოთა მოქალაქეების მასობრივ დახოცვაში.

△ **კაირო**, 22 აგვისტო. (საკდესი). ომანის საიმამოს ბიუროს კაიროში გუშინ მიიღო ცნობა, რომ ვადი ბენ-ჰარუდის რაიონში გაიმართა დიდი შეტაკება ომანელ პარტიზანებსა და ინგლისის ჯარებს შორის. მათი ბრძოლა საათნახევარს გრძელდებოდა.

△ **ნიუ-იორკი**, 21 აგვისტო. (საკდესი). გუშინ პირველ რეისში წავიდა ამერიკის პირველი სავაჭრო გემი „სავანა“, რომელსაც ატომური ძრავა აქვს. მაგრამ რეისის დაწყების სულ რამდენიმე საათის შემდეგ გემის დიდმა ატომურმა რეაქტორმა შეწყვიტა მუშაობა და ცურვის გასაგრძელებლად გემის ეკიპაჟმა გამოიყენა ჩვეულებრივი, არაატომური ძრავები. ამას იუწყება „სავანიდან“ ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი.

საერთაშორისო დეკადიანი ცნობიერი ვიეოსლიდა ცხოვრება

ამერიკის რეკორდული სახელმწიფო ვალი

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალმა ამ ქვეყნის ისტორიაში პირველად გადააჭარბა 300 მილიარდ დოლარს.

დაიწყო საარჩევნო კამპანია ალჟირში

კაირო, 21 აგვისტო. (საკდესი). როგორც მენის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება ალჟირიდან, იქ დღეს დაიწყო ალჟირის ეროვნული კრების არჩევნების საარჩევნო კამპანია.

მღერის იოვანა

თბილისელმა მსმენელმა ამ დღეებში გაიცნო შესანიშნავი ბერძენი მომღერალი, საესტრადო სიმღერის შემსრულებელი ვარშავის 1962 წლის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი იოვანა.

იოვანას ლაღი, მსუბუქი ხმა აქვს და ნამდვილად იპყრობს მსმენელს, რომელიც აღტაცებულია ამ ნიჭიერი საესტრადო მომღერლის საშემსრულებლო ხელოვნებით. იოვანას საკონცერტო პროგრამა მეტად მრავალფეროვანია. იგი ჩვენთვის დღემდე თითქმის უცნობ თუ ნაკლებადცნობილ ბერძენ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს გვაცნობს.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ გეორგადიადისის „სიყვარულის ფრთები“ და „ყვავილი“, ტეოდორაკისის „ფანჯარა“, დიმიტრი პლესასის „რა ძნელია ჩამქრალი სიყვარული“ (ამ სიმღერისათვის ვარშავის საერთაშორისო კონკურსზე კომპოზიტორს პირველი პრემია მიენიჭა), „თუ სიყვარულზე უარი ვთქვი“, „შუქურა-ვარსკვლავი“ და „ყველაფერი ხარ ჩემთვის“.

ბერძენმა მომღერალმა თითქოს ახლებური ეში ბისცა რევაზ ლაღიძის ცნობილ სიმღერას „თბილისზე“.

მოსკოვში იოვანა დიმიტრი პლესასთან ერთად გამოდიოდა. პლესასი თვითონ დირიჟორობდა ჯაზ-ორკესტრს, ხოლო თბილისში ბერძენ მომღერალთან ერთად ჩამოვიდა მოსკოველი დირიჟორი ეფიმ ზოლოტუსკი.

საბერძნეთის საესტრადო სიმღერის საღამო (21, 22, 23 აგვისტოს სპორტის სასახლეში) თბილისელებისათვის დიდხანს იქნება კეთილმოსაგონარი.

• • •

სურათზე: მღერის იოვანა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

იაპონიის მთავრობის საშიში კურსი

იკედას განცხადება

ტოკიო, 21 აგვისტო. (საკდესი). „იკედა ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ პარლამენტმა მიიღოს დეკლარაცია ატომურ შეიარაღებაზე იაპონიის უარისთქმის შესახებ“, — ასეთი სათაურით იაპონიის გაზეთები დღეს აქვეყნებენ იაპონიის პრემიერ-მინისტრის იკედას განცხადებას, რომელიც მან გააკეთა გუშინ პარლამენტის ქვედა პალატის საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე. უპასუხა რა სოციალისტ დეპუტატთა შეკითხვებზე, თუ როგორ ეკიდება მთავრობა სოციალისტური პარტიის წინადადებას — პარლამენტში მიღებულ იქნეს დეკლარაცია ატომურ და წყალბადის იარაღზე იაპონიის უარისთქმის შესახებ, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ „იგი, როგორც პრემიერ-მინისტრი და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, ვერ დაეთანხმება ოპოზიციის წინადადებას ატომური შეიარაღების საკითხში“. იკედა ამტკიცებდა, რომ თითქოს კონსტიტუცია არ უკრძალავს იაპონიას იქტურვოს თავისი შეიარაღებული ძალები ატომური იარაღით „თავდაცვითი მიზნებისათვის“ და ამტკიცებდა, თითქოს, „მიზანშეუწონელია“, რომ პარლამენტმა მიიღოს დეკლარაცია იაპონიის შეიარაღებული ძალების ატომური იარაღით შეიარაღებაზე უარისთქმის შესახებ.

ნიგერიის ეროვნული სუვერენიტეტის დასაცავად

რაბატი, 22 აგვისტო. (საკდესი). ნიგერიის წიაღის და ელექტროსადგურების მინისტრმა მატტამა სულემ პარლამენტის განსახილველად შეიტანა კანონპროექტი ნიგერიაში ნავთობის მოპოვებაზე იგლისის მონოპოლიის ლიკვიდაციის შესახებ.

როგორც მაღრიბ არაბ პრესის საგენტო იუწყება, მინისტრმა, კერძოდ, განაცხადა: „ხება მიეცეთ ბრიტანეთის კომპანიებს შეინარჩუნონ თავიანთი მონოპოლია ნიგერიაში, ნიშნავს ჩვენი სუვერენიტეტის ლიკვიდაციას“.

მუსიკა, ათასი წლის ფარდაგ გაცოცხლებული

(დასასრული)

ამავე დროს ძველ-ქართული მუსიკალური დამწერლობა ზოგ წერტილში ხედება მსოფლიოს უძველეს მუსიკალურ დამწერლობას — აღმოსავლური (მცირე-აზიული) წარმომავლობის ნოტაციას, რომელიც გავრცელებული იყო ძველ საბერძნეთში, სადაც მან საბოლოო გაფორმება მიიღო (ეგრეთწოდებული ძველ-ბერძნული ინსტრუმენტალური ნოტაცია). ამ ორ — ძველ-ბერძნულ და ძველ-ქართულ მუსიკალურ დამწერლობათა შორის არის მსგავსება როგორც გრაფიკის ზოგიერთ ელემენტში, ისე სტრუქტურის ელემენტებში (ცალკეული ნიშნებით აქ გადმოიცემა არა ინტერვალები, როგორც სამუალო საუკუნეთა სანოტო სისტემებში, არამედ მუსიკალური ბგერები).

ეს კავშირი ძველ-ბერძნულ და ძველ ქართული სანოტო სისტემებისა იმაზე მიგვითითებს, რომ ქართული მუსიკალური დამწერლობა აგრეთვე ანტიკურ ეპოქას ეკუთვნის. საკითხის შემდგომმა უფრო გაღრმავებულმა შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ქართული მუსიკალური დამწერლობა გამოეყო უფრო არქაულს ძველ-ბერძნულ მუსიკალურ დამწერლობას და დამოუკიდებელ სისტემად იქცა მიახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ძველ-ქართული მუსიკალური დამწერლობა დიდი მნიშვნელობის მოვლენაა სანოტო დამწერლობათა ისტორიაში, რამდენადაც იგი, არქაულ ბერძნულ სანოტო დამწერლობასთან შედარებით, წარმოგვიდგენს მუსიკალური აზროვნების განვითარების შემდგომს, უფრო მაღალ საფეხურს.

რა არის ახალი ქართულ სანოტო სისტემაში?

პირველი ის, რომ ქართული ნოტაცია აგებულია ზმიდა ოქტავურ პრინციპზე, ამან კი შექმნა იმის საშუალება, რომ უფრო ადეკვატურად გადმოეცათ მუსიკალურ ბგერათა ზყობა, და თანაც ძველ-ბერძნული ნოტაციის ვეება, შერწყმული სამ-ოქტავიანი სისტემა, რომელიც 23 ძირითადი ნიშნისაგან შედგებოდა, დაეყვანათ ოქტავის რვანიშნიან მარტივსა და მკაფიო სისტემამდე.

შემდეგ, ანტიკური არქაული დამწერლობა, რომლის ნიშნები ასობის მსგავსია, საშუალებას იძლეოდა ჩაწერილი ყოფილიყო მუსიკის ტექსტი, — მხოლოდ შესასწავლად, ხოლო იგი არ იყო მოარჯვებული თავისუფალი კითხვისათვის თვალდათვალ. ქართული მუსიკალური დამწერლობა ანტიკური დამწერლობის ამ ნაკლსაც ავსებს. ასობის მსგავსი სანოტო ნიშნები ქართულ დამწერლობაში შეცვლილია გამარტივებული ნახაზებით, რომლებიც თითქოს მიემართებიან ზევითკენ და ქვევითკენ. ამ ნიშნების გრაფიკა სპეციალურად არის შეფარდებული, რათა შესაძლო ვახდეს მუსიკის თავისუფალი კითხვა, რომ თვალმა თავისუფლად აღიქვას ხმის მიმართა.

და კიდევ ერთი დეტალი. ბერძნულ ნოტაციაში ყველა ნიშანი იწერება ერთ ხაზზე, სტრიქონს ზემოთ. ქართული ნოტაცია აქაც მორდება ბერძნულს. მუსიკალურ სკალასთან ზუსტი შეფარდებით ქართულ ნოტაციაში მიღებულია დაყოფა რვა-საფეხურიანი ოქტავისა ორ თანაბარ ნაწილად: ოთხი ნიშანი ოქტავის ქვემო წყებისა (ქვემო ტეტრაქორდისა) იწერება სტრიქონს ქვემოთ, ოთხი ნიშანი ზემო წყებისა (ზემო ტეტრაქორდისა) იწერება სტრიქონს ზემოთ. ასეთი დანაწილება სანოტო ნიშნებისა ორ ჯგუფად აგრეთვე აადვილებს მუსიკის თავისუფალ კითხვას თვალდათვალ; ისევე, როგორც თანამედროვე სანოტო დამწერლობაში ჩვენ თავისუფლად ვარჩევთ ხმის მოძრაობას ზევით და ქვევით ხაზების მიხედვით, ძველ-ქართულ სანოტო დამწერლობაშიც, ზუსტად შეხამებული გრაფიკის, ნიშანთა თანდათან გადასვლის მიხედვით თავისუფლად ვარჩევთ ხმის თანდათან ასვლას ზემო ტეტრაქორდში და თანდათან დასვლას ქვემო ტეტრაქორდში. ეს არის უდიდესი მონაპოვარი ძველ-ქართული მუსიკალური დამწერლობისა.

ყოველივე ის, რაც ზემოთ აღვნიშნეთ ძველი ქართული სანოტო სისტემის სტრუქტურის გამო, ნათელ წარმოდგენას იძლევა მუსიკალური თეორიული აზროვნების მაღალ დონეზე ძველ საქართველოში.

მუსიკალური კულტურა ძველ საქართველოში რომ მაღალ დონეზე იდგა, ამას ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებიც მოწმობენ.

აქ პირველ ყოველისა უნდა მოვიხსენიოთ ჰიმნოგრაფიული და მუსიკალური კრებული, რომელსაც ეწოდება „დიდი იადგარი“, სადაც წარმოდგენილია საგალობელი ჰიმნები, განკუთვნილი საკულტო მსახურების სრული წლიური ციკლისათვის. ეს კრებული, სადაც სისტემაშია მოყვანილი ადრეული საშუალო საუკუნეების მუსიკალური მემკვიდრეობა, შედგენილია დიდი ქართველი ჰიმნოგრაფისა და კომპოზიტორის გრიგოლ ხანძთელის (758-860 წწ.) მიერ. ეს კრებული საფუძვლად დაედო მომდევნო საუკუნეების უფრო გაფართოებულ ნოტირებულ კრებულებს. ძველი ქართული მუსიკის ისტორიაში გრიგოლ ხანძთელმა იგივე როლი შეასრულა, რაც იოანე დამასკელმა ბერძნულ-ბიზანტიურსა და პაპა გრიგოლ II-მ რომაულ-კათოლიკურ მუსიკაში.

ძველ-ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიიდან საჭიროა აგრეთვე მოვიხსენიოთ მუსიკის სახელმძღვანელო, რომელიც ემყარება ეგრეთწოდებული ნომოსების სისტემას. სახელმძღვანელოს ტექსტში აღნიშნულია ნომოსები, ე. ი. მტკიცედ განსაზღვრული უცვლელი მელოდიური ნაკვეთები, რომელთა მიხედვით უნდა შესრულდეს სასულიერო საგალობლების ცალკეული ფრაზები და მთელი ნაწყვეტები. ნომოსების სისტემა, როგორც ცნობილია, გავრცელებული იყო დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც. ძველი ქართული წყაროების ჩვენებათა და ტექსტის ანალიზის საფუძველზე ჩვენ შეგვძელით იმის დადგენა, რომ ქართული სახელმძღვანელო შედგენილი იყო VII საუკუნის 30-იან წლებში მცხეთაში, საქართველოს საპატრიარქოს დედაქალაქში. სახელმძღვანელოში შესულია არა მარტო ის ნომოსები, რომლებიც შემუშავდა საქართველოში ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში (IV-VII სს.), არამედ უფრო ძველებიც, სახელდობრ 24 ნომოსი, მომდინარე წინაქრისტიანული ხანის ძველ-ქართული პროფესიული მუსიკისგან.

დიდ თეორიულ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე ძველ-ქართული მოძღვრება სამხმიანობასა და კილოებზე (მოდუსებზე), გადაცემული ფილოსოფოს იოანე პეტრიწის შრომაში.

ძველ-ქართული მუსიკალური დამწერლობის საიდუმლოების გახსნამ მივიწყების ფარდა ახადა ძველი კულტურის ხალხის ხელოვნებას. ხოლო ამ ამოხსნას აქვს არა მარტო ადგილობრივი, არამედ ზოგად-კულტურული მნიშვნელობა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მეცნიერების განკარგულებაში არც ისე ბევრია მუსიკალური ძეგლები ისეთი ძველი წარმომავლობისა, როგორიც არის ახლად აღმოჩენილი მუსიკის ძეგლები ძველი საქართველოსი. ანტიკური ხანიდან მუსიკალური ტექსტები ძალზე ცოტაა შემორჩენილი. ევროპელი მუსიკის ყველაზე ადრეული ჩანაწერები ძირითადად საშუალო საუკუნეებს ეკუთვნის. ეს არის რომაულ-კათოლიკური და ბერძნულ-ბიზანტიური საკულტო მუსიკა, რომელიც IX-X საუკუნეთა ხელნაწერებშია წარმოდგენილი; ისინი შეიცავენ საშუალო საუკუნეების პირველი ნახევრის რეპერტუარს. ამრიგად, ძველ-ქართულ მუსიკას, რომელიც აღბეჭდილია X საუკუნის ხელნაწერებში, და რომელიც შეიცავს VIII-X საუკუნეთა რეპერტუარს, ადგილი უჭირავს მსოფლიოს უძველეს მუსიკალურ კულტურათა გვერდით.

მინიატურა XIII საუკუნის ქართული ხელნაწერიდან, ცეკვა — სამუსიკო საკრავთა აკომპანიმენტით.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

კომუნისტი — თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-78-24, უცხოეთის — 3-35-01, საილუსტრაციო — 3-20-48, განცხადებების მიღების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

УЦ 09477

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.